№ 14 (11928)
ოთხშაბათი,
18
იანვარი,
1961 წ.
ფასი 2 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერიდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სურათზე: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიკოიანი და ნ. გ. იგნატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომებს შორის შესვენების დროს.
ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საინფორმაციო ცნობა
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1961 წლის 17 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა დღის წესრიგის მეორე საკითხისა — 1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ა. ი. გაევოი (უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი), რ. ფ. მანუკოვსკი (კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, ვორონეჟის ოლქი), ე. ვ. ბლაუევსკი (გორკის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, ოდესის ოლქი), ნ. ს. ფაკი (კოლმეურნეობა „ლენინის დროშის“ თავმჯდომარე, ორიოლის ოლქი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

14 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე გრძელდებოდა მოხსენებათა განხილვა.

უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. პ. ე. შელესტის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძლევა ტაგანროგის კომბაინის ქარხნის თვითმავალ კომბაინთა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორს ამხ. ხ. ი. იზაქსონს.

თავისი გამოსვლის დასაწყისში იგი აღნიშნავს, რომ საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა თვითმავალი მარცვლეულის კომბაინების სისტემა, რომელთა შორის ძირითადი მოდელია კომბაინი „სკ-3“. მას მართავს ერთი კაცი, ნაცვლად ხუთი კაცისა მისაბმელ მანქანებზე „სტალინეცი-6“ და „რსმ-8“.

ამ უკანასკნელ წლებში, ამბობს ორატორი, მოსავლის ცალ-ცალკე აღების წესი ძირითადი გახდა მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დროს. ამასთან დაკავშირებით ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში ეეშენსკაიას სტანიცაში, ხოლო ჩვენ ნ. ს. ხრუშჩოვი მიგვიჰყავდა ჩვენს გენერალურ კონსტრუქტორად საოფლო-სამეურნეო მანქანების დარგში, — სავსებით სამართლიანად გვისაყვედურა, რომ ყველაფერი როდი გავითვალისწინეთ ჩვენ მიერ შექმნილი თვითმავალი კომბაინის კონსტრუქციაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. როგორ უნდა გავიგოთ თქვენი სიტყვები „გენერალურო კონსტრუქტორო“? ხომ არ გინდათ იმის თქმა, რომ, თუ თქვენ გაქვთ ნაკლოვანებანი, ეს იმას ნიშნავს, რომ მეც თქვენთან ერთად პასუხს ვაგებ? არა, თქვენ თითონ აგიღთ პასუხი.

მოსავლის ცალ-ცალკე აღების წესი, განაგრძობს ამხ. იზაქსონი, დიდ შესაძლებლობებს გვისახავს მექანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებაში მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დროს. ჩვენ გავითვალისწინეთ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის შენიშვნა და ახლა დავამთავრეთ უფრო სრულყოფილი კომბლექსის მოსავლის ასაღები მანქანების კონსტრუქცია. შექმნილია კიდური ღვარეულებად სამკელი მანქანა 6 მეტრი გადატანის განით, რომელსაც კიდებენ თვითმავალ კომბაინზე. ეს საშუალებას გვაძლევს იგი გამოვიყენოთ მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების პირველ ეტაპზე. თვითმავალ კომბაინს თვითონ შეუძლია მომკას პური ღვარეულებად, ხოლო შემდეგ ღვარეულებად სამკალი მანქანა შეცვალოს ასაკრეფი მანქანით, აკრეფოს და გალეწოს ეს ღვარეულები. თვითმავალი სალეწ-ასაკრეფი მანქანა საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება მოსავლის აღების დროს.

ბევრი ამხანაგი თავის მოხსენებასა და გამოსვლაში ლაპარაკობდა იმაზე, რომ სიმინდის მოსავლის აღება ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მექანიზებული. მისი მოსავლის 80 პროცენტზე მეტს ხელით იღებენ. ყუბანის მანქანების გამოსაცდელმა ინსტიტუტმა მეტად საინტერესო მუშაობა გასწია სიმინდის მოსავლის აღების პროცესში გალეწილი მარცვლის დაკონსერვებისათვის. ჩვენ აკაგეთ ახალი მანქანა, რომელიც საშუალებას გვაძლევს სამარცვლე სიმინდი ავიღოთ კომპლექსურ-მექანიზებული ტექნოლოგიური პროცესით, როცა მუშაობენ მარცვალსაღები კომბაინები. თვითმავალი კომბაინი „სკ-3“, რომელიც აღჭურვილია წინდინითი სამკელი მანქანით, ჭრის სიმინდის ღეროებს, გალეწავს ტაროებს, აცალს მარცვალს, რომელსაც ბუნკერიდან ყრის ავტომანქანებში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რომ ავიღოთ და სწორად შევინახოთ სიმინდი, შეიძლება სახმობელებიც უნდა შეგქმნათ, რათა აღებული მარცვალი ავიყვანოთ საჭირო კონდიციამდე. ეს ანაზღაურებს ხარჯებს.

საინტერესო ცდა, განაგრძობს ამხ. იზაქსონი მოახდინა კრასნოდარის მხარის თბილისის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობამ. მან ამ წესით ორი კომბაინით აიღო 500 ჰექტარამდე სიმინდის მოსავალი. სიმინდის მარცვლის 70 პროცენტი კოლმეურნეობამ ჩაბარა ელევატორზე და მხოლოდ 30 პროცენტი დააკონსერვა. როგორც ჩანს, საჭირო იქნება რაოაც სახმობი საშუალებები, მაგრამ ამ წესის უპირატესობა იმით გამოიხატება, რომ შეგვიძლია გამოვიყენოთ ტექნიკა, რომელიც არის კოლმეურნეობებში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს საინტერესო საკითხია, იგი დიდი ყურადღების ღირსია.

ა. ვ. გიტალოვი. ეს ძალიან კარგი წესია. მაგრამ აქ არ არის გადაჭრილი სიმინდის ღეროების აღების საკითხი. ეს კი შრომატევადი ოპერაციაა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამხ. გიტალოვ, საჭიროა მოცელოთ, ერთბაშად დააქუცმაცოთ საკვებად. ამ ამოცანის გადაჭრა ადვილია.

ხ. ი. იზაქსონი. ჩვენ ამას მოვკიდებთ ხელს, შევქმნით კიდულ დასაქუცმაცებელ მანქანას, რომელიც გადაწყვეტს ამ საკითხს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს მანქანა კარგად ლეწავს?

ა. ვ. გიტალოვი. კარგად.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს მთავარია. დარწმუნებული ვარ, რომ ისეთ კონსტრუქტორთან ერთად, როგორიც ამხანაგი იზაქსონია, ჩვენ საქმეს თავს გავართმევთ.

ხ. ი. იზაქსონი. ჩვენ თქვენთან ერთად ამ ამოცანას აუცილებლად გადაჭრით. მანქანების გამოცდა, რასაც ყუბანის ინსტიტუტი აწარმოებს, გვიჩვენებს, რომ ამ მანქანით სამარცვლე სიმინდის მოსავლის აღებაც შეიძლება.

შემდეგ ორატორი ეხება მოსავლის არამარცვლეული ნაწილის აღების საკითხებს. საჭიროა შეექმნათ მანქანა, რომელიც მარცვლის აღებასთან ერთად აიღებს ჩალას და მინდვრის კიდეში დაალაგებს. მომდინარე წლის სეზონში ასეთი მანქანების ორი საცდელი ნიმუში შემოწმებულ იქნება მინდვრებში.

აქ გამოსულმა პარტიის ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის მდივანმა ვ. ე. ტრონინმა აცხადებს, რომ საკონსტრუქტორო ბიურომ კოლექტივი მუშაობს ახალი ტიპის კომბაინის — არა თვითმავალი, არამედ კიდული კომბაინის შექმნაზე, რომელსაც აქვს უნივერსალური თვითმავალი შასი. ჩვენ, ამბობს იგი, კომბაინი გავაკეთეთ. ასე ვთქვათ ორ ნაწილად. ეს ამცირებს სპეციალური მარცვალსაღები მანქანის ღირებულებას 60 პროცენტით. კიდული მანქანები თვითმავალი შასით 20-30 პროცენტით უფრო მსუბუქია. ვიღრე ტრაქტორის მისაბმელი მანქანები.

შემდეგ ამხ. იზაქსონი ამბობს, რომ დღემდე გადაჭრილი არ არის მანქანების გამოცდასთან დაკავშირებული საკითხები. ახლა არსებობს ისეთი წესი, როცა გამომცდელი უპირისპირდება კონსტრუქტორს. ეს სწორი არ არის. საჭიროა ეყოს ერთი ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შექმნილი მანქანის მაღალი ტექნიკური დონისა და მისი მუშაობის ხარისხისათვის. ჩვენ არ ვიცით შემთხვევა, რომ წარმოებაში დაუშვაგიანი მანქანის რეკომენდაციისათვის მანქანათსაშენებელი სადგური ჯუსუხისგებაში მიეცეთ, მით უმეტეს არ ვიცით შემთხვევა, რომ სადგურს პასუხი ეგოს რეკომენდაციის დაყოვნებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამხანაგო იზაქსონ! მე ვიცი ასეთი შემთხვევები: კონსტრუქტორმა დაამზადა კარგი მანქანა, მაგრამ მას ეუბნებიან, რომ რამდენადმე უნდა დაიცადოს გამოცდა. თურმე იმას, ვინც ასე ამბობს, მეგობარი ჰყავს, რომელიც მუშაობს ასეთივე ტიპის მანქანაზე. მაგრამ დაიგვიანა ერთი წლით, ამიტომ აყოვნებენ მზა მანქანის გამოცდას, სანამ მისი მეგობარი დაიწევა და მაშინ მათ ერთად გამოსცდიან მომავალ წელს. ეს დანაშაულია.

ხ. ი. იზაქსონი. ასეთი რამეც ხდება.

ორატორი აცხადებს, რომ კონსტრუქტორთა და ქარხნის მუშაკთა კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა შექმნას უფრო სრულყოფილი მანქანები და აღჭურვოს ამ მანქანებით ჩვენი სოფლის მეურნეობა.

შემდეგ გამოდის პარტიის ორიოლის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ნ. თ. იგნატოვი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის პლენუმზე, ამბობს ამხ. იგნატოვი, ორიოლის ოლქი გააკრიტიკეს ჩამორჩენისათვის მეცხოველეობის განვითარებაში, ნაკლოვანებებისათვის საკოლმეურნეო კადრების განაწილებასა და აღზრდაში. არასწორი დამოკიდებულებისათვის სამინდის მოყვანისადმი. საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ რაღდენადმე გააუმჯობესა მუშაობა რაიონული რგოლის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. ახლა ოლქის რაიონებში ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების დიდ უმრავლესობას აქვს უმაღლესი ან დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებად დაწინაურებულია ასზე მეტი გამოცდილი ორგანიზატორი პარტიული, საბჭოთა აქტივიდან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა რიცხვიდან. გაუმჯობესდა ბრიგადირთა და მეცხოველეობის ფერმების გამგეთა შემადგენლობა. მეცხოველეობაში მუდმივ სამუშაოდ მოვიდა შვიდი ათასი კომკავშირელი.

ამხ. იგნატოვმა ილაპარაკა აგრეთვე საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ღონისძიებებზე. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1960 წელს სამინდის ნათესი ფართობი აიყვანეს 162 ათას ჰექტარამდე. ამ კულტურის მოყვანას, აცხადებს ორატორი, ეწევა ათასზე მეტი მექანიზებული რგოლი. მთელ რიგ მეურნეობებში მოყვანილია სიმინდის უხვი მოსავალი. ფმტროვსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ლენინის დროშის“ მშრომელებმა, რომელსაც ს. ნ. ფაკი ხელმძღვანელობს, 500 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღეს 685 ცენტნერი სიმინდის მწიანე მასა ტაროებიანად. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშან სიმინდის სილოს ჩაყარეს თითო ძოხაზზე დაახლოებით 15 ტონა. წელიწადში ერთი ძოხის წვლილობა 1959 წელთან შედარებით ასი კილოგრამით გადიდდა.

ამხ. იგნატოვი შეეხო მოწინავეთა მიღწევებს და განაცხადა, რომ საოლქო პარტიული ორგანიზაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა უზრუნველყოს წარმოებაში მოწინავე გამოცდილების მიღწევების ფართოდ დანერგვა, ასწავლოს კადრებს და მიაღწიოს საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომ აღმავლობას.

ამხ. იგნატოვმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება სოფლის მეურნეობის რეზერვების გამოყენებისათვის, და დააყენა საკითხი, რომ უფრო ფართოდ გაიშალოს მანქანების წარმოება ორგანული სასუქების დატვირთვის, ტრანსპორტირებისა და მინდვრებში შეტანისათვის, რომ გაიზარდოს მინერალური სასუქების წარმოება.

ოლქის მშრომელები, ამბობს ორატორი, ამუშავებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ღონისძიებებს 1961 წლისათვის — შვიდწლედის მესამე წლისათვის. ყველა კატეგორიის მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან 51 ათას ტონა ხორცს, 178 ათას ტონა რძეს, 36 მილიონ ცალ კვერცხს.

ორიოლის პარტიული ორგანიზაცია, ამბობს ამხ. იგნატოვი, ოლქის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა 1961 წელს უზრუნველყონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, ღირსეული წელი შეიტანონ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი კითხულობს კრასნოდარის დელეგაციის წერილს: **„პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.**

ნიკიტა სერგის-ძე, კრასნოდარის მხარის დელეგაციამ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გულდასმით განიხილა თქვენი რჩევა იმის შესახებ, რომ 350 ათასი ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მივიღოთ 60 ცენტნერი სიმინდი და მივყიდოთ სახელმწიფოს 150 მილიონი ფუთი პური, და მხურვალედ იწონებს ამ რჩევასა და წინადადებებს. **(ტასი).**

მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ ეს დიდი და საპატიო ამოცანა.

50 ათას ჰექტარ ფართობზე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოიყვანენ სიმინდის თესლს საბჭოთა კავშირის სხვა ოლქებისათვის. სულ სიმინდი სამარცვლედ დაითესება 400 ათასი ჰექტარი.

მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ახლა იქმნება მექანიზებული რგოლები სიმინდის მოსაყვანად, გამოიყოფა საუკეთესო მიწის ნაკვეთები, წარმოებს თესლის დაკალიბრება, მინდვრად გააქვთ სასუქები, ამზადებენ ტექნიკას.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს მხარეში გამორჩეულ ასობით და ათასობით რგოლი, რომლებიც იბრძოლებენ ჰექტარზე 100 და 160 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მიღებისათვის და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვევენ მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილ სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატს ამხ. ე. ა. დოლინიეს. ყველა ყუბანელის სახელით გთხოვთ ჩამოხვიდეთ ჩვენს მხარეში.

დელეგაციის დავალებით — პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის მდივანი ვორობიოვი“. **(ტასი).**

ნ. ს. ხრუშჩოვი. მინდა მივმართო ჩრდილოეთ კავკასიის მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების წარმომადგენლებს. თქვენ მხარეები, რესპუბლიკები და ოლქები იკისრებენ მოიყვანონ მარცვლად იმდენი სიმინდი, რამდენსაც კისრულობს ყუბანის მხარე (ხოლო იქ ისეთივე კარგი პირობებია) და აიღებენ ჰექტარზე დაახლოებით 60 ცენტნერს, სტავროპოლის მხარე (მისი დასავლეთი ნაწილი) — 60 ცენტნერს, ხოლო მხარის აღმოსავლეთ კავკასიან ზონაში — 40 ან 30 ცენტნერსაც კი, როსტოვის ოლქი — 40 ცენტნერს, ეს ძალიან საქმე იქნება. ამას ჩვენ გეუბნებით ამხანაგებო, მოფიქრებისათვის. დაე მხარეებს, ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკების წარმომადგენლებმა იფიქრონ, ხოლო შემდეგ შეგხვდებით როსტოვში და იქ დავამთავროთ აზრთა გაზიარება ამ საკითხზე. ხოლო თუ აქაც რაიმეს იტყვით ამ მიმართულებით, იმის ცვალობაზე, თუ რას იტყვით, ან გავჩუმდებით — ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ არ გითანხმებით, ან ტაშს დაგიკრავთ — ეს ნიშნავს, რომ მხარს გიჭერთ. **(ტასი).**

სიტყვა ეძლევა კურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მემინდვრეს ამხ. **ტ. ს. ბალცევს,** რომელმაც თავისი გამოსვლა მიუძღვნა დასავლეთ ციმბირისა და იმიერურალის მიწათმოქმედების დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, სადაც დიდ ფართობებზე მოჰყავთ უძვირფასესი სასოფლოსო კულტურა — საგაზაფხულო ხორბალი.

ეს უკვე ორი წელია ზედიზედ, ამბობს იგი, დასავლეთ ციმბირსა და იმიერურალში შემოდგომის სუსხის დაწყების მომენტისათვის ყველა ნათესი როლი ასწმ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

„პრობლემი მირა ი სოციალიზმა“

გამოვიდა კომუნისტური და მუშათა პარტიების თეორიული და საინფორმაციო ჟურნალის „პრობლემი მირა ი სოციალიზმის“ 1961 წლის პირველი ნომერი. ჟურნალი იხსნება ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებით — „მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ახალი გამარჯვებებისათვის“ (კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ). ჟურნალში ქვეყნდება აგრეთვე სტატიები გ. გეორგიუ-დეჟისა — „სოციალისტური ბანაკი საერთაშორისო განვითარების წამყვანი ძალაა“, ჯ. ე. ჯექსონისა — „კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ახალი გამწვავება“, აზრთა ურთიერთგაზიარების მასალები „აგრარული საკითხი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, ინფორმაციები და სხვა მასალები.

მოსკოველთა მოწოდება

მოსკოვი, 16 იანვარი. (საქდესი). ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება კომუნისტური შრომისათვის, შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის — ასეთი მოწოდებით მიმართეს მოსკოველებსა და რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებს მოსკოვის სახარისხებელი დეპოს მუშაკებმა.

მიმართვაში ამ საკითხზე ნათქვამია, რომ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მისალმების გულთბადმა სიტყვებმა, რომელმაც მიიღოცა დეპოს კოლექტივს კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდების მინიჭება, შემოქმედებით ძალების ახალი მოზღვავება გამოიწვია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად დეპოს კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულება.

კლენუმის მონაწილეთა შეხვედრები

მოსკოვი, (ჩვენი სპეც. კორ.). კვირას, 15 იანვარს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეთა ჯგუფმა საქართველოს სს რესპუბლიკიდან ინახულა ქალაქი ზაგორსკი, სადაც გაეცნო „ფრინველის ქალაქს“ — მეფრინველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საექსპერიმენტო ბაზას. ეს უზარმაზარი საცდელ-საჩვენებელი მეურნეობაა. საქართველოდან ჩასულ სტუმრებს მეურნეობის მუშაკები გულთბილად შეხვდნენ. გაიმართა მეგობრული საუბარი.

— ჩვენი მეურნეობა, — თქვა მეფრინველეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ი. საველიევმა, — საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესია. მას უჭირავს 11.500 ჰექტარი ფართობი, საიდანაც ნათესი კულტურებისათვის გამოყოფილია 8.000 ჰექტარი. აქ ვთესავთ ხორბალს, სიმინდსა და იონჯას. კვერცხმდებელი დედლების სულადობა 67 ათასამდე ავიყვანეთ, ხოლო მოზარდეულისა — 200 ათასამდე. ძირითადი ჯგუფი, რომელიც ჩვენ მოვაშენეთ, „რუსული თეთრი“ ჯიშია. ჩვენ გამოვიყვანეთ ქათმის ახალი ჯიში — „ზაგორსკული“. იგი ერთსა და იმავე დროს სახორცეც არის და კვერცხმდებელიც.

მეურნეობაში წარმოებს ახალი მშენებლობა. მაგალითად, შენდება ახალი კორპუსი 24.000 კვერცხმდებელი დედლისათვის. იგი მთლიანად მექანიზებული იქნება. ფრინველის საკვებად საქათმეებში ავტომატურად მიაწოდებენ მშრალ და სველ საკენკს, აგრეთვე აწყობენ სპეციალურ დანადგარს საბუდრებიდან კვერცხის ამოსაღებად. საუბრის შემდეგ პლენუმის მონაწილენი გაეცნენ მეურნეობას.

კვერცხმდებელი დედლების შესანახავი სათავსის დათვალიერებისას სტუმრებთან მოვიდა მეფრინველე ნ. სკვორცოვა. მან თქვა, რომ უვლის 3.500 კვერცხმდებელ დედალს, რომლებიც სპეციალურ რაციონზე ჰყავს. თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე შარშან მიიღო 141 კვერცხი.

— ჩვენს ბრიგადაში, რომელსაც ზოოტექნიკოსი კ. გრიაზნოვა ხელმძღვანელობს, — თქვა ნ. სკვორცოვამ, — თექვსმეტი მეფრინველეა, რომლებსაც 40 ათასი ქათამი აბარიათ. კომბინირებულ საკვებსა და მარცვალს გარდა, თვითეულ კვერცხმდებელ დედალს დღეში ეძლევა 25-30 გრამი სტაფილო, ხოლო წიწილებს, ათი დღის ასაკს რომ მიაღწევენ, რაციონში უმატებენ 7-8 გრამ ტექნიკურ ცხიმს. ასეთი კვებისა და მოვლის შედეგად მოზარდეულის 95 პროცენტი შევინარჩუნეთ.

— თქვენ კი თქვენი მეურნეობის შესახებ გვიამბეთ, — მიმართა სამგორის მეფრინველეობის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის დირექტორს კ. კოვზირიძეს მეფრინველემ. — რა არის თქვენთან ახალი, კარგი.

— ჩვენი საბჭოთა მეურნეობა, — თქვა კ. კოვზირიძემ, — რესპუბლიკის ახალგაზრდა მეურნეობაა. მაგრამ მიუხედავად ამისა, გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულეთ ნაკისრი ვალდებულებანი. სახელმწიფოს მივყიდეთ სამი მილიონი ცალი კვერცხი, 1.581 ცენტნერი ქათმის ხორცი. უახლოეს ხანში დავამთავრებთ ყველა პროცესის მექანიზაციას. ჩვენთან ახალგაზრდა კადრებიც გაიზარდნენ. ჩვენი მოწინავე მეფრინველე ქ. კორკოტაშვილი წარმატებით ეჯიბრება წარჩინებულ უკრაინელ მეფრინველეს ვ. სიდორას. ცუდი არ იქნება, რომ გაეცნობოდეთ მას. ჩინებულად მუშაობენ ჩვენი მეფრინველეები ციალა ხმალაძე, მ. გალუსტიანი და სხვ.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ გასულ წელს თქვენი მეურნეობისაგან მივიღეთ რამდენიმე ათასი ერთი, დღის და 30 დღის წიწილა. მათ კარგად გადაიტანეს ტრანსპორტირება. ძალიან კმაყოფილი დავრჩით, რომ დაგვეხმარეთ.

დიდხანს გაგრძელდა ეს საუბარი. გამოითქვა ბევრი სურვილი და აზრი. მაგრამ მთავარი ხორცისა და კვერცხის ორი დიდი ფაბრიკის უფრო მჭიდრო კონტაქტის დამყარება. და იგი კიდევაც დამყარდება.

ვლ. ბინზბურგი.

სურათზე: (მარცხნიდან) სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. კიკავსკი, ზაგორსკის საექსპერიმენტო ბაზის დირექტორი ა. სკიბინი და სამგორის სოჭიზე მეფრინველეობის მეურნეობის დირექტორი კ. კოვზირიძე საუბრის დროს.
ფოტო ავტორისა.

ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა თათბირი



მოსკოვი, 17 იანვარი. (საქდესი). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირის მონაწილენი განიხილავენ საკითხს, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ჩამორჩენის აღმოფხვრის ფონისძიებანი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. მ. ორლოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი.

ᲣᲙᲐᲜᲘᲡᲒᲐᲜ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲐᲗᲐ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 17 იანვარი. (საქდესი). გაზეთი „რევოლუსიონი“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან გამოეზავნილ კორესპონდენციაში აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს მოაწყოს კონტრრევოლუციურ ელემენტთა თავდასხმა თავის გუანტანამოს სამხედრო-საზღვაო ბაზაზე.

ამერიკის გეგმა, ნათქვამია ცნობაში, ის არის, რომ მისცეს ხომალდები ფლორიდასა და ცენტრალური ამერიკის რაიონებში თავშეფარებულ კონტრრევოლუციონერებს, რათა მოახდინონ „იერიში“ გუანტანამოს ბაზის წინააღმდეგ, რომელიც თითქოსდა დაიწყო „კუბის მეამბოხეთა არმიამ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(გაგრძელება)

რებს კარგად დამწიფებას. მეორე მხრივ, აქ მოსავლის ჩაგრავს სარეველები, უმთავრესად, შვრიუკა და ღიჭა. თითქოს, ყველასთვის გასაგებია: პური რომ ადრე დამწიფდეს, იგი ადრე უნდა დათესოს. მაგრამ გასაგებია მეორეც: ნათესებში რომ არ იყოს შვრიუკა, პიჩიქინი, ადრე თესვა საშიშია, უნდა დაველოდოთ, როცა სარეველები გაიზრდება და შეიძლება მოისპოს თესვის წინ.

ორატორი შემდეგ აღნიშნავს, რომ თესვის ვადების და საგვიანო და საადრეო ჯიშების ხორბლის შერჩევის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე იმ დიდმნიშვნელოვან ფაქტორს, რომ დასავლეთ ციმბირსა და იმიერურალში ზაფხულის პირველი ნახევარი, როგორც წესი, ღარიბია ნალექებით, ხშირია გვალვა. იგლისში კი ბევრი წვიმა მოდის, ასეთ მდგომარეობაში სგვიანო ჯიშების ხორბალს, თუნდაც ადრე იყოს დათესილი, რამდენადმე კიდევ შეუძლიათ გამოიყენონ ივლისის წვიმები, რასაც ვერ ახერხებენ საადრეო ჯიშები. ეს ჯიშები ამ წვიმებამდე თავფაფასაც იკეთებენ და ზრდას ამთავრებენ ვგვალვის პირობებში.

ჩვენს კოლმეურნეობაში, ამბობს ამხ. მალცევი, ადრე არ ვთესავთ, რათა ნათესებმა დაუზიანებლად გადაიტანონ ივნისის გვალვა და მოასწრონ ივლისის წვიმების გამოყენება. შედარებით გვიანი თესვა შესაძლებელს ხდის მოისპოს სარეველები.

კოლმეურნეობა თესავს აუცილებლად ორი ჯიშის ხორბალს — საგვიანოს (25 პროცენტს) და საადრეოს (75 პროცენტს). საგვიანო ჯიში ითესება მაისის მეორე დეკადაში ნაკვეთებზე, სადაც წინასწარ ცნობილია, რომ არ არის დასარეველიანებული შვრიუკათი. საადრეო ჯიშების თესვა წარმოება მაისის მესამე დეკადაში, როცა სარეველები იზრდება და მათ ვსპობთ თესვის წინ. სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს აგრეთვე სუფთა ანეულში, რომლისთვისაც ყოველწლიურად გამოყოფილია მთელი სახნავი მიწების მეხუთედი.

უკანასკნელ 12 წელიწადში, როცა ჩვენ თვითონ ვითვალისწინებთ თესვის ვადებს და საკუთარი წესით ვაწარმოებთ მიწის დამუშავებას, ჩვენში, ამბობს წარჩინებული კოლმეურნე მეცნიერი, სისტემატიურად განმეორებული გვალვის მიუხედავად, საგაზაფხულო ხორბლის საშუალო მოსავალმა შეადგინა 20 ცენტნერი ჰექტარზე. შარშან ჩვენ მივიღეთ 21 ცენტნერი ჰექტარზე.

მთელი კურგანის ოლქი შვიდწლედის პირველ ორ წელს ფართოდ იყენებდა ჩვენს მეთოდებს ბემინდვრეობაში და ცუდ შედეგებს როდი მიაღწია. გასულ წელს ოლქში მარცვლეულის საშუალო მოსავალი შეადგენდა 15 ცენტნერს. ოლქმა წარმატებით შეასრულა სოციალისტური ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის შესახებ და ორ წელიწადში ჩაბარა 186 მილიონი ფუთი, აქედან 46 მილიონი ფუთი გეგმის გადამეტებით.

მე მგონია, ამბობს ამხ. მალცევი, რომ ურალელებს, ციმბირელებსა და ყაზახებს ერთ რამეში სჭირდებათ კარგი დახმარება — უკეთ აღჭურვონ ისინი მოსავლის ასაღები ტექნიკით და ეს ტექნიკა შეუგუონ ამ რაიონის თავისებურებებს. აქ პური რაც შეიძლება მალე უნდა აღიღოთ, რადგან ამისათვის დრო ცოტაა. ეს რაიონები უნდა უზრუნველყოთ მძლავრი სახმობი აგრეგატებით, რაც შესაძლებელს გახდის შემცირდეს მოსავლის აღებისა და მარცვლის ჩაბარების ვადები. საჭიროა აგრეთვე მეტი იქნეს გამოშვებული ნიადაგის დასამუშავებელი იარაღები, აგრეთვე პარკოსნების მოსავლის ასაღები მანქანები, ჩალის საბუნელებლები.

ორატორი ხაზს უსვამს სპეციალისტთა, განსაკუთრებით აგრონომთა დიდ პასუხისმგებლობას მიწათმოქმედების სწორი წარმოებისათვის, მიწის ნაყოფიერებისათვის, მოსავლისათვის, მე კოლმეურნეებმა მანდეს თავიანთი მიწა, ამბობს იგი, და ამ ნდობას ეუფრთხილდები, მთელ ძალებს ვახმარ საყვარელ საქმეს.

სტალინოს ოლქის პარტიის მარინკის რაიკომის მდივანი ამხ. **ზ. ნ. ბლუხოვი** ამბობს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ რაიკომში, სადაც ერთ დროს პარტიის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მოდიოდა შორინკის რაიონის ბევრი კომუნისტი და უპარტიო მშრომელი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მაშინ მხოლოდ ერთი მდივანი იყო. არ იყვნენ პირველი და მეორე მდივნები **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ზ. ნ. ბლუხოვი. სულ ერთია პირველ მდივნად.

ორატორი აცნობებს, რომ რაიონის მშრომელებმა სთხოვეს მას გადასცეს ნიკიტა სერგის ძეს, რომ ისინი უსურვებენ ჯანმთელობას, მრავალ წელს სიცოცხლეს და მაღლობას უხდიან ტიტანური მუშაობისათვის მშვიდობის განსამტკიცებლად.

შარშან, განაგრძობს ამხ. ბლუხოვი, მარინკის რაიონში, ისე როგორც უკრაინის სხვა რაიონებში, არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო სიმინდეების შეიქმნა მუშაობაში. მაგრამ რაიონი წლითწლობით გულდასმით იცავს აგროტექნიკის მოთხოვნებს და იღებს უხვ და მყარ მოსავალს. ეს საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ მეცხოველეობა, გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქციის მიყიდვა სახელმწიფოსათვის.

რაიონის კოლმეურნეობებმა გასულ წელს ყოველ ას ჰექტარ სავარგულზე სახელმწიფოს მიჰყიდეს 40 ცენტნერი ხორცი ცოცხალი წონით და 196 ცენტნერი რძე. ამავე დროს იზრდება პირუტყვის სულადობა.

შვიდწლედის მესამე წელს, განაგრძობს ორატორი, რაიონში განხორციელდა მარცვლეულის მოსავალი ავიღოთ ჰექტარზე 25-26 ცენტნერი, სიმინდი სამი ათასი ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე — 50 ცენტნერი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ასეთი მოსავალი თქვენ უკვე მიგიღიათ.

ზ. ნ. ბლუხოვი. მიგვიღია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ასე, რომ თქვენთვის საშიში არ არის?

ზ. ნ. ბლუხოვი. მიგვიღია და არ გვეშინია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. უკრაინის რომელ რაიონს ეკიბრებით?

ზ. ნ. ბლუხოვი. ჩვენს მეზობელ ავდეევკის რაიონს.

შემდეგ ამბ. ბლუხოვი პლენუმის მონაწილეებს უამბობს, თუ რა მუშაობას ეწევა პარტიის რაიკომი საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და აღზრდისათვის, ამასთან, ხაზს უსვამს ორატორი, გათვალისწინებულია არა მარტო დიპლომის არსებობა, არამედ აგრეთვე დაწინაურებული მუშაკის როგორც სპეციალისტისა და წარმოების ორგანიზატორის პირადი თვისებები.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამხანაგო ბლუხოვ, როგორ არის ახლა თქვენთან მზესუმზირას საქმე? ეიროშენკო გარდაიცვალა?

ზ. ნ. ბლუხოვი. გარდაიცვალა 1959 წელს. გასულ წელს ჩვენთან საქმე ცუდად იყო, ჰექტარზე ავიღეთ 14 ცენტნერი, ხოლო წარსულ წლებში ვიღებდით 22-23 ცენტნერს, პირობას ვიძლევი, რომ ასეთ მოსავალს მივიღებთ 1961 წელს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს კარგია.

ამბ. ბლუხოვი ახასიათებს კოლმეურნეობათა მთელი რიგი ასაკით და მუშაობის გამოცდილებით ახალგაზრდა თავმჯდომარეების საქმიანობას და დამაჯერებლად, კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს, თუ რამდენად საჭიროა რაიკომისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დახმარება იმ ახალგაზრდა მუშაკებისათვის, რომლებიც დიდი სურვილით მოვიდნენ სამუშაოდ კოლმეურნეობებში.

ორატორი ხაზს უსვამს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობისთვის ბრძოლაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სწორად გამოყენებას. ამ-ქამად რაიონს ყველა კოლმეურნეობაში მუშაობს 3-4 სპეციალისტი.

ჩვენ, ამბობს ამხ. ბლუხოვი, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. ყოველ ღონეს ვიხმართ მათ აღმოსაფხვრელად. იგი პირობას იძლევა, რომ მარინკელები კვლავაც იქნებიან შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და იმისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში, რომ უსწრაფესად შექმნან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე ხალხისათვის.

მელეკაძიდ გასმა პლენუმზე ლატვიის სსრ საბჭოთა მეურნეობა „კატენიეკის“ წარჩინებული მეღორის **ა. პ. ბარტულისის სიტყვა.** მე დიდი პატივი დამდეს, ამბობს იგი, მეორედ ვიღებ მონაწილეობას ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში. წარსულში ხომ მოჯამაგირე, უცნენო გლეხი ვიყავი, ახალგაზრდობიდან ვფლობდი ოფლს ბურჟუაზიული ლატვიის კულაკთა ყანებში და გომურებში, ხოლო ომის წლებში ვიგებდე ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკები. ძნელია გამოვთქვა, ყველფერი, რითაც სავსეა ახლა ჩემი გული. ცენტრალური კომიტეტის წარსულ პლენუმზე მე უპარტიო ვიყავი, ახლა კი დიდი ლენინური კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი ვარ.

ერთი წლის წინათ ამავე დარბაზში, განაგრძობს ამხ. ბარტულისი, მე პირობა დავდე გამესუქებინა სამი ათასი ღორი. მოსკოვიდან დავბრუნდი მტკიცე განზრახვით შესრულებინა სიტყვა. ამხანაგებმა მუშაობაში, სპეციალისტებმა მრჩიეს, როგორ გამომეყენებინა უკეთ შესაძლებლანი, რომ მეტი ღორის ხორცი მიმეცა ჩვენი ქვეყნისათვის. საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა საღორეს გაფართოება. ეს გაკეთდა განსაკუთრებული სახსრებისა და მასალების დაუხარჯავად. სადგომში, სადაც წინათ 300 ღორი გვყავდა ახლა ვთავსებთ 1500-1800 ღორს.

მაგრამ მეურნეობაში არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა, ამბობს ორატორი, ეპიდემიის გამო დაიწყო გოჭების დახოცვა. თითქოს ამ უბედურებას არაფერ უნდა ექცია საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივის ღონისძიებები. როცა პლენუმიდან დავბრუნდი, ჩვენთან ბევრი მნახველი მოდიოდა, ფიქრობდნენ, აი სასწაული: ერთმა კაცმა გაასუქა ორი ათასი ღორი. ალბათ, ეპიდემიაც ექსპერსანტებმა შემოიტანეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სწორად ამბობთ.

გაზაფხულზე, როცა დაგოჯინანება დაიწყო, თქვა ამხ. ბარტულისმა, საშიში აღარ იყო, რომ ეპიდემიის გამო სულადობა დაიკლებდა. მაშინ დედაღორები ბანაკში წავიყვანეთ, სადაც დაგოჯინება მიმდინარეობდა. მოზარდეული იზრდებოდა ჰაერზე ჯანსაღი და მაგარი.

ბანაკში გადაიყვანა თავისი ღორები ამხ. ბარტულისმაც. პირველად ახალ ვითარებაში დიდი მუშაობის შესრულება უხდებოდა. მაგრამ მან შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, ჩაბარა სახელმწიფოს 3 ათასზე მეტი ღორი, რომელთა საერთო წონა 2.500 ცენტნერია, და ამის შესახებ წერილი გაუგზავნა ნ. ს. ხრუშჩოვს.

— დიდი იყო ჩვენი სიხარული, — გაანაცხადა ამხ. ბარტულისმა, — როცა მალე საბჭოთა მეურნეობაში ნიკიტა სერგის ძის პასუხი მოვიდა! ამ პასუხმა კიდევ უფრო შეგვასხა ფრთები მე და ჩემს ამხანაგებს. ნიკიტა სერგის-ძის პასუხმა ამოძრავა მთელი კოლექტივი, გამოიწვია მხურვალე სურვილი — კიდევ უფრო უკეთესად გვეშრომა მინდერებსა და ფერმებში. ამხანაგების მხურვალე მხარდაჭერით მე ვიკისრე ვალდებულება შვიდწლედის მესამე წელს გავასულო სულ ცოტა 5 ათასი ღორი, რომელთა საერთო წონა 4.500 ცენტნერი იქნება.

შემდეგ ნოვატორმა ილაპარაკა ცხოველთა დიდჯგუფური უსდგომო მოვლა-პატრონობის უპირატესობებზე. ცენტნერი ზორცის წარმოებაზე მან დახარჯა 2,7 კაცსაათი, ხოლო შრომის ნაყოფიერება ღორის გასუქების დასკვნითს სტადიაში ერთიანად და უფრო მეტად გაიზარდა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის მდივანს **ზ. ნ. ნურიევს.** ასრულებდნენ რა თავიანთ ნაკისრ ვალდებულებებს, თქვა მან, ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს შარშან მიაყიდეს 78,8 მილიონი ფუთი მარცვალი, აქედან 8,6 მილიონი ფუთი გეგმის გადამეტებით. შვიდწლედის ორ წელიწადში სახელმწიფოს მიეყიდა 156 მილიონი ფუთი მარცვალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 140 მილიონი ფუთისა. გადაჭარბებითაა შესრულებული მაქრის ჯარხლისა და ზეთოვან კულტურათა დამზადების გეგმა.

მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების წლიური დავალებანი გადაჭარბებით შესრულდა. 1960 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 136 ათასი სულით, ანუ 22 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის ძროხის — 28,7 ათასი სულით, ანუ 13 პროცენტით, ღორისა — 200 ათასი სულით, ანუ 33 პროცენტით, ცხვრისა— 49 ათასი სულით.

ბაშკირეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ შეასრულონ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის შვიდწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში, რძისა და კვერცხის დამზადებისა — 5 წელიწადში, მატყლის დამზადებისა — 6 წელიწადში.

ამხ. ნურიევმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მცირეა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი და დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მაღალია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტთა თვითღირებულება. პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად აღმოფხვრას ეს ნაკლოვანებანი.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა, რომ სოფლის მშრომელთა ძირითადი ყურადღება ახლა ექცევა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, იმ ღონისძიებათა კომპლექსში, რომლებიც მიზნად ისახავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომ ზრდას, მთავარი აღგილი უნდა დაიკავოს ორგანულმა და მინერალურმა სასუქებმა. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა შეიტანონ ყოველწლიურად ნიადაგში 8-9 მილიონი ტონა ნაკელი, ნაცვლად 5 მილიონი ტონისა, რაც ახლა მაქვთ, გაიტანონ მინდვრად ერთ მილიონამდე ტონა ტორფი. ამხ. ნურიევმა აღნიშნა, რომ სასუქად ტორფის გამოყენება ფერხდება ტექნიკის უკმარობის გამო, მან მოითხოვა გაითვალისწინონ ბაშკირეთის საჭიროებანი ამ საქმეში და გამოუყონ საჭირო მანქანები.

ბაშკირეთის პარტიული ორგანიზაცია ბრუნავს იმისათვის, რომ გაიზარდოს პირუტყვის სულადობა და გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების გამოშვება, და იბრძვის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის, მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლობის გაფართოებისათვის, ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. მომდინარე და მომდევნო წლებში სიმინდის წარმოების გადიდებასთან ერთად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დათესავენ უფრო მეტ პარკოსან კულტურებსა და ბაქრის ჭარხალს, გაატუმჯობესებენ მდელოებსა და საძოვრებს.

ალმოსავლეთ ყაზახეთის ოლქის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ **ბ. კიტაბაბაევმა** ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ აღწევენ კოლმეურნეები შინაგან რეზერვების მობილიზაციით კარგ შედეგებს. 1960 წელს ცივი გაზაფხულის, წვიმიანი ზაფხულისა და შემოდგომის პირობებში მათ 8 ათასი ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიწიეს 18,2 ცენტნერი მარცვალი. გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 27 ათასი ცენტნერი მარცვალი. შესრულებულია სოციალისტური ვალდებულებანი მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დარგში.

მარცვლის მეურნეობის განვითარების საქმეში მოპოვებული წარმატებების შედეგად შესაძლებელი გახდა მეცხოველეობის აღმავლობა, თუ ოთხი წლის წინათ მეცხოველეობის პროდუქციისგან კოლმეურნეობა მთელი ფულადი შემოსავლის დაახლოებით მეოთხედ ნაწილს იღებდა, გასულ წელს მიიღო უკვე შემოსავლის ნახევარი. კოლმეურნეობის ჯოგში 3.800 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 13 ათასი ცხვარი, 1.200 ცხენი. ამას მივაღწიეთ იმით, რომ კოლმეურნეებმა დროულად, ნამდვილად დაიფასეს სიმინდის უდიდესი როლი. ჩვენ რომ სიმინდი არ გვქონოდა, განაცხადა ამხ. კიტაბაბაევმა, არ ვიცი, როგორ ვიარსებებდით, როგორ გავავითარებდით მეცხოველეობას. ახლა სიმინდის ნათესები 1.100 ჰექტარს შეადგენს. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საშუალოდ ყოველ ჰექტარზე ვიღებთ 500-600 ცენტნერ ტაროიანი სიმინდის მწვანე მასას ჯყინტ და ბაზსტადიაში. შარშან ყაზახეთში სუსხიანი ზამთარი იყო. მაგრამ კოლმეურნეობამ არა მარტო შეიხარჩუნა მთელი თავისი პირუტყვი, არამედ დაეხმარა მეზობელ არტელებს გამოეკვება ორი ათასი სული პირუტყვი.

ჩვენს დიდი სიხარულით შევხვდით, განაგრძო ამხ. კიტაბაბაევმა, პარტიისა და მთავრობის მიერ წარმოდგენილ ღონისძიებებს კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის თაობაზე. ამის შედეგად ჩვენს კოლმეურნეობას თავის განკარგულებაში ექნება დამატებითი სახსრების დაახლოებით ორი მილიონი მანეთი, რომელსაც არტელი გამოიყენებს კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობისათვის, კერძოდ, გათვალისწინებულია გვაქვს კოლმეურნეობაში ავაშენოთ ტიპური სკოლა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება სკოლის მშენებლობის შესახებ?

ბ. კიტაბაბაევი. დიახ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. კარგია, სკოლები საჭიროა.

ორატორმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა ვალდებულებანი იკისრა კოლმეურნეობამ პარტიის მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად. გადაწყვეტილია მთელი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიწიონ 120 ფუთი მარცვალი, შვიდწლედის მესამე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 15 ათასი ცენტნერი რძე, ერთი წლის განმავლობაში 400 სულით გაადიდონ მეფუვლი ძროხების ჯოგი.

ამბ. კიტაბაბაევმა სულითა და გულით გადაუხადა მადლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პლენუმზე მიწვევისათვის, დიდი მადლობა, თქვა მან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმსა და თქვენ, ნიკიტა სერგის ძეგ, იმისათვის, რომ დაუჭირომლად ზრუნავთ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი აყვავებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენც გმადლობთ. **(ჭყუხარე ტაში).**

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა სოციალისტური შრომის გმირმა **თურსუნოი ახუნოვამ,** — ტაშკენტის ოლქის ქიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, ბამბის საკრეფი მანქანის მექანიკოსმა მძღოლმა, რომელსაც პლენუმის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ.

ჩვენს კოლმეურნეობაში, თქვა მან, წელი მოვიდა, რომლითაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა მე და ჩემი ბრიგადის წევრებს მოგვიოლა მოპოვებული წარმატებანი. გულითად მადლობას ვუხდი ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძეგ, დიდი უურადღებისათვის.

ამბ. ახუნოვამ უამბო პლენუმს, რომ შარშან მან პირობა დასდო თავისი ბრიგადის სახელით მოეწია უხვი მოსავალი და მანქანით მოეკრიფა 250 ტონა ბამბა. ნება მიბოძეთ მოგახსენო, განაცხადა სახელმოხვეჭილმა მებამბემ, რომ ჩვენმა ბრიგადამ 100 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 42 ცენტნერი ბამბა. სახელმწიფოს მივიყიდეთ 420 ტონა ბამბა, მათგან 408 ტონა მანქანით მოვკრიფეთ.

შემდეგ მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ თვითონ მანქანით მოკრიფეს 322 ტონა ბამბა. შეასწავლა ბამბის საკრეფი მანქანით მუშაობა მეუღლესა და დას, რომლებიც მექანიკოსი მძღოლები გახდნენ. თურსუნოი ახუნოვამ ხაზგასმით აღნიშნა მებამბეობის კომპლექსური მექანიზაციის უდიდესი როლი. მის ბრიგადაში ერთი ცენტნერი ხმი ბამბის თვითღირებულებამ შეადგინა 9 მანეთი და 70 კაპიკი, ხოლო ფანახარჯები ერთიორად, სამ შრომადღემდე შემცირდა.

ჩვენ არ დავკმაყოფილდებით მიღწეული წარმატებებით, განაცხადა თ. ახუნოვამ, კიდევ უფრო ფართოდ დავნერგავთ კომპლექსურ მექანიზაციას, გავადიდებთ ბამბის მოსავლიანობას.

ამხანაგებო, თქვა დასასრულ თურსუნოი ახუნოვამ, ძლიერ ბედნიერი ვარ და სულითა და გულით მადლობას ვუხდი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ძვირფასი ნიკიტა სერგის ძეს პლენუმზე მოწვეულისა-თვის, მე ამას ვამბობ არა მარტო ჩემი სახელით, არამედ ყველა უზბეკი ქალის სახელით, რომლებიც უკვე მუშაობენ და ამუშავებენ ბამბის საკრეფ მანქანებით.

მან აცნობა პლენუმს, რომ მისმა ბრიგადამ იკისრა ახალი ვალდებულება — 100 ჰექტარი ბამბის ნათესის ყოველ ჰექტარზე მოიწიოს 50 ცენტნერი მოსავალი. თვითონ თ. ახუნოვამ იკისრა ვალდებულება — ბამბის საკრეფი მანქანით აიღოს 350 ტონა ბამბა.

კავკასიაში სიმინდის მოვლა-მოყვანას მიუძღვნა თავისი გამოსვლა პარტიის უაბარდო-ბალყარეთის სოლოქო კომიტეტის მდივანმა **ამბ. ტ. კ. მალბახოვმა.**

ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი კავკასიისათვის სავსებით შესაძლებელი საქმეა, თქვა ორატორმა. მან გაიხსენა, რომ ეს ძვირფასი კულტურა კავკასიაში ჯერ კიდევ 100 წლის წინათ იყო ცნობილი და უაბარდოელებმა ძვირფასი თვისებებისათვის სიმინდს—„ნართული“, ე. ი. გოლიათური მარცვალი უწოდეს, მაგრამ მრავალი ათეული წლის მანძილზე სიმინდის მოსავლიანობა არ აღემატებოდა 20 ცენტნერს ჰექტარზე. ამ მოჯადოებული მიჯნის გადალახვა პირველად შესაძლებელი გახდა 1958 წელს, როცა რესპუბლიკაში ყოველ ჰექტარზე მოიწიეს 43 ცენტნერი სიმინდი, 1960 წელს მიღებულია 40 ცენტნერი.

სოლოქო კომიტეტის მდივანმა პლენუმს გააცნო უამბულათ კიროვ-ძე თარჩოკოვის — ლესკენის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მუშაობა. ამ კაცმა დიდი როლი შეასრულა იმ საქმეში, რომ უაბარდომ შეისწავლა სიმინდის მოვლა-მოყვანა. კოლმეურნეობამ, რომელსაც ამბ. თარჩოკოვი მეთაურობს, 1958 წელს 1.100 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიწია 80 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. 1959 წელს კვლავ განმეორდა ეს ორი ციფრი და სახელმწიფოს ჩაბარდა 3 ათასი ტონა სიმინდის თესლი.

როცა ამბ. პოლიანსკის მოხსენებაში დეკემბრის პლენუმზე, თქვა ამბ. მალბახოვმა, მოყვანილი იყო ეს ციფრები, როგორც ჩანს, გაზეთის მუშაკებმა არ დაჯერეს და ნაცვლად 1.100 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 80 ცენტნერისა დაწერეს 80 ცენტნერი 110 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზეო. მე ასე დაგვიანებით გაწვდათ ცნობას.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს ურწმუნონი, ურწმუნონი!

ამბ. თარჩოკოვმა მუშაობა დაიწყო შვიდი ცენტნერით, განაგრძო თარჩოკოვმა, და როგორც შვიდი ცენტნერი გადააქცია 80 ცენტნერად, მან ისევე გაადიდა ამ ხნის განმავლობაში პირუტყვის სულადობა, აამაღლა მისი პროდუქტიულობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების მოცულობა. გაუმჯობესდა კოლმეურნეთა, ეფუძვლიანად და ყოფაცხოვრება. მეორეს მხრივ, ამბავნაგებმა, განაცხადა ამბ. მალბახოვმა, ერ ერ თარჩოკოვი ... არარა ... ბ. ს. ხრუშჩოვი. ნება მიბოძეთ შევიტანო შესწორება. ამბ. თარჩოკოვი სოციალისტური შრომის გმირია, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ მიუღია ვარსკვლავი, რომლითაც გმირებს აჯილდოებენ. **(ჭყუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ტ. კ. მალბახოვი. მაშინ ნება მიბოძეთ გამოვასწორო და ვთქვა, რომ კოლმეურნეობა, რომელსაც მომავალი სოციალისტური შრომის გმირი მეთაურობს, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვფიქრობ, რომ ამხანაგები, რომლებზეც დამოკიდებულია სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება, მხარს დამიჭერენ, თუ ვიტყვი, რომ ამბ. თარჩოკოვი არა მომავალი, არამედ ახლაც გმირია. **(ჭყუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ტ. კ. მალბახოვი. კარგია, ნიკიტა სერგის-ძეგ.

ამბ. მალბახოვმა უამბო პლენუმს იმ გეგმებზე, რომელთაც ახორციელებენ კომუნისტები რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად იმისათვის, რომ გადაჭიკონ უაბარდო-ბალყარეთი ჩვენი ქვეყნის მესამინდღეობა-მეთესლეობის დიდ მეურნეობად.

მან დამაჯერებელი მაგალითებით ცხადყო, რომ სიმინდის მეოხებით რესპუბლიკაში, დაწყებული 1953 წლიდან, ერთიორად გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, შვიდჯერ — ღორის სულადობა, გაორკეცდა და გასამკეცდა მეცხოველეობის სხვადასხვა პროდუქტების დამზადება.

შემდეგ ამბ. მალბახოვი შეეხო ზოგიერთ ნაკლოვანებას, რომლებიც აბრკოლებენ უფრო სრულად გამოვლინდეს სიმინდის „საკუთარი“. მან დაგმო არასწორი პრაქტიკა, როცა დამამზადებელი პუნქტები ანიზოლაურებს აწარმოებენ მხოლოდ სიმინდის მარცვლისათვის, ხოლო სიმინდის ღეროები, რაც მთელი დამზადებული პროდუქციის, წონის 22 პროცენტს შეადგენს, არ ბარდება სახელმწიფოს: მათ უფასოდ ურიგებენ ვეღაცეებს და ღუმელს ახურებენ. სახელმწიფო ამით ბევრ რამეს კარგავს, რადგანაც სიმინდის ღეროებით აგრეთვე შეიძლება დამზადებულ იქნას არც თუ ისე ცუდი საკვები — პირუტყვისათვის. ორი ტონა სიმინდის მურკისაგან შეიძლება მივიღოთ იმდენი სპირტი, რამდენსაც ახლა იღებენ ერთი ტონა ხორბლის ფქვილისაგან. ორატორმა ილაპარაკა იმიზე, რომ საჭიროა შეიცვალოს დამამზადებელი პუნქტებში სიმინდის მიღებისა და შეფასების ზოგიერთი მოძველებული წესი, რის გამოც ძვირდება მისი თვითღირებულება და ხშირად არახელსაყრელ მდგომარეობაში ვარდებიან მოწინავე კოლმეურნეობები, რომელთაც უხვი მოსავალი მოჰყავთ.

* * *

16 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა მოხსენებებისა დღის წესრიგის მეორე საკითხის შესახებ.

სიტყვა მიეცა სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამბ. **ლ. ნ. ეფრემოვს.**

მან თქვა, რომ შვიდწლედის პირველ ორ წელიწადს ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთნაირ ვეარჯერ და მეტად გადიდდა ხორცის წარმოება და 22 პროცენტით — რძის წარმოება. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შარშან წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით, ხოლო ღორისა — 19 პროცენტით.

ნ. ს. ხრუშჩოვი. უკანასკნელ წლებში რამდენით გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი გორკის ოლქში? ალბათ შეიმატა ხელფასი უფრო გაიზარდა, ვიდრე მობმარების პროდუქტების წარმოება?

ლ. ნ. ეფრემოვი. ეს სწორია, ნიკიტა სერგის ძეგ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს არის საკითხის დედაარსი, როგორც კეზმა პრუტკოვმა თქვა, საქმეში ღრმად ჩაიხედეთ.

ლ. ნ. ეფრემოვი. თქვენს ბარათთან დაკავშირებით ჩვენ ანალიზი გავუკეთეთ, თუ როგორ გვაქვს ხელფასის და მოსახლეობის სხვა შემოსავლის ზრდის საქმე. მთლიანად ეს დაახლოებით 3 მილიარდ მანეთს შეადგენს ოლქში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რა თანხის სოფლის მეურნეობის პროდუქტები გაქვთ წარმოებული? სამ მილიარდისაზე მეტი თუ ნაკლები?

ლ. ნ. ეფრემოვი. წარმოებული გვაქვს გაცილებით ნაკლები.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ისეთ მდგომარეობას უნდა მივაღწიოთ, რომ მოსახლეობის მოთხოვნა კმაყოფილდებოდეს. ადამიანებს როდი უნდათ, რომ ხელფასი ყულაბაში აგროვონ.

ლ. ნ. ეფრემოვი. ეს სწორია, მოსახლეობის მოთხოვნა ძალიან გადიდდა, ამიტომ მკვეთრად გავადიდებთ წარმოებას, ნიკიტა სერგის ძეგ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ყველა გვეუბნება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას გაუზრდითო. ზრდა არის, ზრდა მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ბიუროკრატებს შეეძლიათ დასჯერდნენ ამას, რათა იოლი ცხოვრება ჰქონდეთ. ბიუროკრ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(დასასრული)

თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ამბ. პავლე მიხეილის ძე დიომინი.„ ამ კოლმეურნეობაში თქვენ ყოფილხართ, ნიკიტა სერგის ძეო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. პავლე მიხეილის ძე დიომინი კარგად მახსოვს, მისი ლამაზი წერილიც. ის აქ არის?

ლ. ნ. ეფრემოვი. დღეს — არა, ამ უკანასკნელ ხანს ავად იყო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვუსურვოთ მალე გამოჯანსაღებულიყოს.

ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდ რეზერვებს, გაანგარიშებს ამბ. ეფრემოვი, მოწმობს ბევრი შესანიშნავი ადამიანის გამოცდილება. მაგალითად, გოროდეცის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი შუქურას“ მეღორეკმ ა. ი. როგოჟინამ გასულ წელს 1.100 ღორი გაასუქა; სალგანის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ მწველავმა ა. ვ. ვორონკოვამ 5376 კილოგრამი რძე მიიღო საშუალოდ თითოეულ ძროხაზე. ბევრია მოწინავე გამოცდილების სხვა შესანიშნავი მაგალითი, და ეს გამოცდილება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო აღმავლობისათვის, ამბობს ორატორი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამბ. ეფრემოვ! საკოლმეურნეო სოფლის ასეთი მოწინავე ადამიანები ჩვენი შუქურები არიან. ამ შუქურებს უნდა გავუსწოროთ მხარი. ამიტომ უნდა დავრაზმოთ ადამიანები, მოვაწყოთ მასების შეჯიბრება, მხარი გავუსწოროთ მოწინავეებს.

ლ. ნ. ეფრემოვი. სწორედ ამ მიმართულებით ვიმუშავებთ.

შემდეგ ამბ. ეფრემოვი ამბობს, თუ რა ცვლილებანი მოხდა სათესი ფართობების სტრუქტურაში. თითქმის ერთთიოდ შემცირდა ამ უკანასკნელ წლებში შვრიის ნათესები, სამაგიეროდ დიდდა შვრია-ცერცველას და ბარდა-შვრიის ნარევის ფართობები. ოლქის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში, რომლებსაც უფრო ნაყოფიერი ნიადაგი აქვთ, გადიდდა საშემოდგომო ხორბლისა და საბურღულე კულტურების ნათესი. ბევრ მეურნეობაში კარგ მოსავლის ძლევა ბარდა. მაგალითად, კოლმეურნეობა „საბჭოების ხელისუფლებაში“ 263 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე მოვიდა 26,7 ცენტნერი ბარდა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. კარგია. (ტაში). მინდა გაგაფრთხილოთ ამბ. ეფრემოვ, თქვენ და სხვა ამხანაგები, რომ ბიუროკრატს დიდი შეგუების უნარი აქვს. ჩვენ ვამბობთ, რომ შვრია მცირე მოსავლს იძლევა და რომ უნდა ვთესოთ შვრია-ცერცველას ნარევი. მაგრამ ნარევი შეიძლება სხვადასხვა პროპორციით იყოს. შეიძლება დავთესოთ შვრია და ავიღოთ ერთი შუა ცერცველა და მოვაბნიოთ. ბიუროკრატმა გაკეთა თავისი საქმე და შეიძლება დამშვიდებული იყოს. მან თქვა: დათესა შვრია-ცერცველას ნარევი, მაგრამ იქ ცერცველა ხომ არ არის, არამედ მხოლოდ შვრიაა. ამრიგად, იცოდეთ, არ დაუშვათ ასეთი თვალის ამხვევი ნათესები. ჩვენ მარტო კულტურის სახელწოდება კი არ გვესაჭიროება, არამედ საკვების რაოდენობა, რომელსაც იგი იძლევა. ეს არის მთავარი მაჩვენებელი.

ლ. ნ. ეფრემოვი. ამას ყურადღებას მივაქცევთ, ნიკიტა სერგის ძეო.

ორატორი შემდეგ ამბობს, რომ გორკის ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები წელს აფაროვებენ სიმინდის ნათესებს, 130 ათას ჰექტარამდე ადიდებენ მის ფართობს. დასახულია ამოცანა მიიღონ ჰექტარზე სულ ცოტა 300 ცენტნერი სასილოსე მასა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. საკმაოდ მცირე ციფრია. მაგრამ ამასაც მივესალმებით, (ტაში).

ვხედავ ამხ. ორლოვსკი იღიმება, ალბათ, ფიქრობს: აი რა მცირე ვალდებულებებს კისრულობენო. თქვენ რამდენი მოგყავთ, ამხ. ორლოვსკი?

ორლოვსკი. ვთესავთ 620 ჰექტარს, ჰექტარზე მოგვყავს 635 ცენტნერი.

ამხ. ეფრემოვი შემდეგ ამბობს, რომ ოლქში დიდდება მოთესილი ანეულის ნათესები, რომლებიც მიმდინარე წელს 300 ათას ჰექტარს შეადგენენ. გამოცდილება გვიჩვენებს, ამბობს იგი, რომ მოთესილ ანეულზე დათესილი და დროზე აღებული სიმინდისა და ბარდანარევი ცერცველას შემდეგ იმავე ფართობზე მოწმინდე კოლმეურნეობებს საშემოდგომო კულტურების კარგი მოსავალი მოპყავთ.

თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილში ორატორი ამბობს, რომ გორკის ოლქში იყო თვალის ახვევის, წამატების ფაქტები. გორკის პარტიული ორგანიზაცია, პიროვას იძლევა იგი, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ბოლომდე აღმოფხვრას ეს სამარცხვინო მოვლენები და აღარ დაუშვას მომავალში.

მაღალმთიანი ტიან-შანის მეცხოველეთა სახელით დიდი კოლმეურნეული მადლობა — ჩონ ,რაჰმათი — გადასცა პლენუმის ტრიბუნიდან კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს ამბ. ტ. ა. **აკუნოვმა** — კოლმეურნეობა „შესახლვრის“ თავმჯდომარემ, რომელიც ოთხი ათას მეტრამდე სიმაღლეზე მდებარეობს.

იგი უამბობს დამსწრეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის შრომელებმა კომუნისტებმა მეთაურობით, მიუხედავად სუსხიანი „ჯუტისა“ (დიდი თოვლისა, გაჭიანურებული ზამთრისა), რაც შარავან იყო, აწარმოეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 10 ათას ცენტნერზე მეტი ხორცი — სამი წლიური გეგმა, ამასთან გაადიდეს პირუტყვის სულადობა, წარმატებით შეასრულეს ყველა სხვა პროდუქტის ჩაბარების გეგმა. ორგანიზებულად მიმდინარეობდა საძოვრული სუქება და სახელმწიფოს ჩაბარდა 80-ზე მეტი პროცენტი კარგად ნასუქი საქონელი. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ცოცხალმა წონამ შეადგინა 390 კილოგრამი, ცხვრის წონამ — 60 კილოგრამი.

ამბ. აკუნოვი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ გაუმჯობესდა რუსეთის ამ ყოფილი განაპირა მხარის მცხოვრებთა კეთილდღეობა, აყვავდა ეკონომიკა და კულტურა. კოლმეურნეები ცხოვრობენ კარგ კეთილმოწყობილ სახლებში, რომლებიც გამშვებულია ელჩის ნათურებით, მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აიგო ორასამდე ასეთი სახლი. არის კლუბი, რადიოკვანძი, სამმობიარო სახლი, საშუალო სკოლა ინტერნატით, ბაღი.

მთიანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოთქვამს აზრს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შესახებ ტიან-შანში, სადაც ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ერცელი ბუნებრივი საძოვრები საშუალებას იძლევა გამოიზარდოს ზაზმატულიანი ცხვრის დიდი ფარები და ღიდძალი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ხოლო ამბანი იაკებისაგან ხორცის-გარდა მივიღოთ აგრეთვე კარგი ცხიმიანი რძე.

ამხანაგებო, ამბობს ორატორი, 1961 წელი იქნება განსაკუთრებული წელი, როცა როგორც ცნობილია, გიმართება ჩვენი პარტიის XXII ყრილობა. და ჩვენ, ტიან-შანის მეცხოველეები არ დაერჩენთ ვალში. კოლმეურნეობის კომუნისტები და ყველა მშრომელი მობილიზაციას უბამენ ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, უზრუნველყოფენ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებას ყველა მიმართულებით.

ჩვენებლის მიხედვით, ხოლო ხორცის წარმოებაში — 1962 წელს.

სიტყვას ამბობს სვერდლოვსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე კ. კ. **ნიკოლაევი.** იგი აღნიშნავს, რომ სვერდლოვსკის ოლქი ტიპიური სამრეწველო ოლქია, მაგრამ სოფლის მეურნეობის შრომელნი იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს და თავიანთი წვლილი შეაქვთ საერთო ბრძოლაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაღიდებისათვის. შარშან ოლქში შესყიდული იქნა 92 ათასი ტონა ხორცი, 279 ათასი ტონა რძე და 100 მილიონი ცალი კვერცხი. ხორცის შესყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 165 პროცენტით, რძისა — 107,4 პროცენტით და კვერცხისა — 150 პროცენტით.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რძე ცოტაა.

კ. კ. ნიკოლაევი. სწორია, ნიკიტა სერგის-ძეო, და ჩვენ სერიოზულ ღონისძიებებს ვახორციელებთ, რათა გამოვსწოროთ ეს საქმე.

ორატორი აცხადებს, რომ 1960 წელს ოლქმა მიაღწია ხორცის დამზადების დონეს, რომელიც შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით გთვალისწინებულია 1964 წლისათვის, ხოლო კვერცხის დამზადების მხრივ — 1962 წლის დონეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს იმას მოწმობს, რომ, როცა ადგენდნენ შვიდწლიან გეგმას, ვერ გითვალისწინეს მთელი შესაძლებლობანი და ამიტომ მთელი რიგი მაჩვენებლების მხრივ და ზოგიერთ ოლქსა და რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის გეგმები რამდენადმე შემცირებული აღმოჩნდა.

კ. კ. ნიკოლაევი. ეს სწორია, ნიკიტა სერგის-ძე. სექტემბრის პლენუმის შემდეგ ჩვენ ვაწარმოეთ 27 ათასი ტონა ხორცი, ახლა კი ვაწარმოებთ 92 ათას ტონას, და ვხედავთ, რომ მართლაც არის დიდი შესაძლებლობანი აგრეთვე ჩვენს ოლქში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. აბა, თუ არის, საქმით გვიჩვენეთ, როგორ შეგიძლიათ გაანაღდოთ თქვენი შესაძლებლობანი.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდასთან ერთად, ამბობს შემდეგ ამხ. ნიკოლაევი, ორი წლის განმავლობაში ოლქმა სახელმწიფოს მიჰყიდა 15 მილიონი ფუთი პური სახელმწიფო გეგმით დაწესებული 6 მილიონი ფუთის ნაცვლად.

ორატორი აღნიშნავს, რომ საოლქო პარტიული ორგანიზაცია მთელ ყურადღებას უთმობს ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებათა შესრულებას იმის შესახებ, რომ სვერდლოვსკის ოლქმა უკეთ უნდა გამოიყენოს არსებული შესაძლებლობანი, რათა, უზრუნველყოს მოსახლეობა საკუთარი წარმოების მეცხოველეობის პროდუქტებით. მაგრამ, აღნიშნავს იგი, ყველაფერი როდია გაკეთებული ხორცის წარმოების გადიდებისათვის. მნიშვნელოვნად იზრდება ღორის სულადობა, ფართოდ ვითარდება მეფრინველეობა.

ეხება რა მეფრინველეობას, ამხ. ნიკოლაევი კაბიშლოვისა და სხვა რაიონების მაგალითით ცხადყოფს, თუ რა შესაძლებლობენა ამ საქმეში. კაბიშლოვის რაიონმა გასულ წელს სახელმწიფოს ჩაბარა 537 ათასი იხვი, 328 ათასი ქათამი და 12,3 მილიონი ცალი კვერცხი, ას ჰექტარ მარცვლეულ კულტურებზე კამიშლოველებმა აწარმოეს 54,7 ცენტნერი ფრინველის ხორცი და 49,5 ათასი ცალი კვერცხი. როგორც ჩანს, აღნიშნავს ორატორი, უფალნიც შეიძლება მივაღწიოთ ისეთ მაღალ ჩაჩვენებლებს, როგორც უკაბნში.

ნ. ს. ხრუშჩოვი სწორია.

შევიძინეთ რა ერთგვარი გამოცდილება, ამბობს ამხ. ნიკოლაევი, ჩვენ ვსაზავთ ფრინველის ხორცის წარმოების შემდგომ გადიდებას. ხორცის წარმოების გადიდებისათვის ვიყენებთ ისეთ რეზერვებსაც, როგორიც არის მებოცვრეობა.

სვერდლოვსკის ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამოცანად ისახავენ აიყვანონ 1965 წელს ხორცის წარმოება 210 ათას ტონამდე, რძისა — 1 მილიონ ტონამდე და კვერცხისა — 500 მილიონ ცალამდე.

საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე პლენუმზე აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გადაჭრაში საჭიროა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დახმარება. კერძოდ, იგი ამბობს, რომ ოლქში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მწვავე ნაკლებობაა. ამავე დროს აქ, როგორც გამოკვლევამ ცხადყო, არის 300 ათასამდე ჰექტარი მიწა, რომელიც ადრინდელ მალე შეიძლება აკეთვისოთ. ორატორი სთხოვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტს განიხილონ ეს საკითხი და გაითვალისწინონ გეგმაში ახალი მიწების ათვისება, საამისო ტექნიკის გამოყოფა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისთვის.

ამხ. ნიკოლაევის-აზრით, ოლქის მრეწველობამ დიდი დატვირთვა უნდა იკისროს სოფლის მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დარგში. ოლქის პირობებში შეგვიძლია მოვაწყოთ ძარტივი მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ ძირითადი პროგრამის შესრულებას. არის სრული შესაძლებლობა ორი წლის განმავლობაში განვახორციელოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა შრომატევადი პროცესის სრული მექანიზაცია და ელექტროფიკაცია. ამისათვის საჭიროა ნება დაერთოს ოლქს იმ ლითონის ნაწილი, რომელსაც გეგმის გადამეტებით უშვებენ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოები, გამოიყენოს კოლმეურნეობებისათვის მანქანებისა და მექანიზმების გამოსაშვებად.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენთვის ეს, შესაძლოა, ხელსაყრელია, მაგრამ როგორ იქნება, ვთქვათ, ვორონეჟისთვის?

კ. კ. ნიკოლაევი. ნიკიტა სერგის ძეო, ჩვენ თანახმა ვართ ვორონეჟისთვისაც დავამზადოთ. მაგრამ ამის გაკეთება უნდა ბართვოდ ჯერჯერობით არ შეგვიძლია.

ორატორი აყენებს საკითხს, რომ ურალში გადიდდეს მინერალური სასუქების წარმოება. ურალის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ზოგიერთ მეურნეობასთან თანამშრომლობით, აცადებს იგი, მთელი რიგი წლებია ცდის მინერალურ სასუქად მარტენის დაფქვილ ნედალ, რომელშიც კირის გარეა, ბევრია ფოსფორი, აგრეთვე მანგანუმის, სპილენძისა და კობალტის მიკროელემენტები, რომლებიც განსაკუთრებით კარგ გავლენას ახდენენ ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებაზე. იგი თხოულობს, რომ სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნება დართონ საერთო კაპიტალდაბანდებათა ფარგლებში ააგოს ნიეფტაგილში 600 ათასი ტონა სიმძლავრის საქარხნო დანადგარი მარტენის წიდის დაფაფვავად. ვფიქრობ, აცადებს იგი, ასეთივე რეზერვები სხვა ოლქებშიც არის.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ამას ჩვენ მივესალმებით, ეს კარგია.

კრებებსა და მიტინგებზე, ამბობს ამხ. ნიკოლაევი, შუა ურალის შრომელები კისრულობენ ახალ ვალდებულებებს შვიდწლედის დავალებათა განხორციელების ვადების შესამცირებლად. ისინი არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა პირნათლად შეასრულონ კომტექნიკის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას.

ტრიბუნაზეა თათრეთის ასსრ გაბდულა ტუკაის-სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბ. **გ. ნ. გარიფულინი,** ორატორი ამბობს, რომ ტუკაის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა, ისე როგორც ჩვენი სამშობლოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელმა, მნიშვნელოვნად გაადიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება. თუ 1953 წელს, ამბობს იგი, სახელმწიფოს მიეყიდა 30 ათასი ფუთი პური, 1960 წელს მიეყიდა 52 ათასი ფუთი. მეურნეობას შაქრის ჭარხალი სრულიად არ მოჰყავდა, გასულ წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 2437 ტონა შაქრის ჭარხალი, ხორცის მიყიდვა ამ წლებში გაიზარდა 17-ჯერ, რძისა — 34-ჯერ, ხოლო კვერცხისა — 20-ჯერ.

ამ მონაცემებიდან ჩანს, შენიშნავს ამხ. გარიფულინი, რომ 1953 წელს ჩვენი კოლმეურნეობა ჩამორჩენილი იყო. მართალია, ჩვენ ახლაც ჩამოვრჩებით მოწინავე მეურნეობებს, მაგრამ წარმოების ზრდის აღებული ტემპი ნებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობა შვიდწლიან გეგმას ხორცისა და რძის წარმოების დონის მიხედვით უკვე წელს შეასრულებს.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს მოწინავე მწველავებისა და მეღორეების მოღწეევებზე. ცნობილია, შენიშნავს იგი, რომ თათარი გლეხები წინათ არ ზრდიდნენ ღორებს. აქ მოქმედებდა რელიგიური ცრურწმენები. ახლა კი ჩვენს რესპუბლიკაში მეღორეობა გახდა მეცხოველეობის წამყვანი დარგი.

ამბ. გარიფულინი შეეხო მტკიცე საკვები ბაზის შექმნას და განაცხადა, რომ გასულ წელს, არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, კოლმეურნეობამ 1.700 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 15 ცენტნერი მარცვალი. ყოველ ჰექტარზე მიღებულია 750 ცენტნერი მწვანე მასა და სიმინდის ტაროები. გადაწყდა, რომ შვიდწლედის მესამე წელი უფრო მოსავლიანი გავხადოთ. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს იბრძოლონ 120 ფუთი მარცვლისათვის ჰექტარზე. გაიდიდება ბარდისა და ფეტვის ნათესები. სიმინდი დათესილა 100 ჰექტარზე სამარცვლედ და 200 ჰექტარზე სასილოსედ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენში სიმინდი სამარცვლედ მწიფდება?

გ. ნ. გარიფულინი. სამარცვლედაც დამწიფდება, პატარა გამოცდილება უკვე გვაქვს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. გამოცდილება გაქვთ? კარგია.

პურის მთლიანი მოსავლის გასადიდებლად და სხვა კულტურების მოსავლიანობის ასამაღლებლად, შენიშნავს ორატორი, დიდი მნიშვნელობა აქვს გაუპიროვნების ლიკვიდაციას მიწის სარგებლობაში. ალტაელ მხვნელ-მთესველთა მაგალითისამებრ, სტრაქტორო ბრიგადაში შექმნილია მექანიზებული რგოლები, რომლებსაც მიჩენილი აქვთ სათოხნი და სხვა კულტურების ნათესები. მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია მოსავალზე.

უკანასკნელ სამ წელიწადში 205 კოლმეურნის ოჯახმა მიიღო ახალი ბინა. ყველა სახლი რადიოფიცირებულია. არის კარგი კლუბი, სასოფლო-სამეურნეო არტელის ძალებით შენდება ახალი სკოლა. ბევრი კოლმეურნე სწავლობს საღამოს სკოლაში. შექმნილია ახალგაზრდობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

კოლმეურნეებმა იმსჯელეს საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი გახვითარების გზებზე, ამბობს ორატორი, და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბევრი საკითხის ფარმატებით გადაჭრა დაოკიდებულია ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ტოტზე, ანუ ენერგეტიკაზე. ამ ენერგეტიკის ბაზაზე ელექტროფიკაციის, ავტომატიზაციის, ქიმიზაციის, ავტომობილიზაციის, ტრანსპორტის, ინფორმაციის, ელექტრონული ტექნიკის, ატომური ენერგიის, ელექტრონული ტექნიკის, ატომური ენერგიის, ელექტრონული ტექნიკის, ატომური ენერგი

მღელვარება მობუჯუს არმიაში

ამერიკა ცეცხლს ეთამაშება

ბონში კვლავ გამოჩნდა თვითმფრინავები შავი ჯვრებით

აზიისა და აფრიკის ქალთა ხმა

კაირო, 16 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ფ. ნოსოვი იუწყება: გუშინ აქ გაიხსნა აზია-აფრიკის ქვეყნების ქალთა პირველი კონფერენცია.

დარბაზში, რომელიც მორთულია კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ეროვნული ალმებით, არიან აზია-აფრიკის 45 ქვეყნის, მათ შორის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, ინდონეზიის, ცეილონის და სხვა ბევრი ქვეყნის ქალთა წარმომადგენლები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის ქალთა დელეგაცია.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ეგვიპტის რაიონის ალმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ქამალ ედ-დინ ჰუსეინი. მან ხაზგასმით აღნიშნა კონფერენციის ისტორიული მნიშვნელობა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ქალთა შესაკავშირებლად ორი დიდი კონტინენტის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ტაშის გრიალში კონფერენციაზე წაიკითხეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ინდონეზიის პრეზიდენტის სუკარნოს მისასალმებელი წერილები.

„ჩვენი ხალხების ისტორიის ამ გადამწყვეტ მომენტში, რომლებიც იბრძვიან თავისუფალი მომავლისთვის, — ნათქვამია ნასერის წერილში, — ამ გადამწყვეტ მომენტში, როცა ჩვენმა ხალხებმა მოიპოვეს დიდი გამარჯვება იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თქვენი კონფერენცია მოწოდებულია შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი როლი, რათა მთელმა მსოფლიომ გაიგოს აზიისა და აფრიკის ქალთა ხმა, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ხალხების განთავისუფლებისათვის, სამართლიანობის, თანასწორობისა და საყოველთაო მშვიდობისათვის, მომავალ თაობათა ღირსეული ცხოვრებისათვის“.

დიდი ყურადღებით მოისმინეს კონფერენციის დელეგატებმა ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილი. წერილის დასკვნითმა ნაწილმა, რომელშიც გულითადად უსურვებს კონფერენციის მონაწილეებსა და აზიისა და აფრიკის ყველა ქალს ახალ დიდ წარმატებებს მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქალთა საარსებო უფლებებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და აყვავებისათვის, დარბაზის ერთსულოვანი მქუხარე ოვაცია გამოიწვია.

კონფერენცია განაგრძობს მუშაობას.

ამერიკა ამზადებს აგრესიას

ტოკიო, 16 იანვარი. (საკდესი). ამერიკის სამხედრო სარდლობა აფართოებს მზადებას აშკარა შეიარაღებული ინტერვენციისთვის ლაოსში. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბრძოლოდ მოამზადეს ოკინავას კუნძულზე განლაგებული სპეციალური ჯარის ნაწილი „ჯოინტ ტასკ ფორს 116“ ლაოსში გასაგზავნად „თუ ამ სამეფოში ვითარება გართულდა“. ამ ნაწილის შემადგენლობაში გათვალისწინებულია შეიყვანონ ამერიკის მეშვიდე ფლოტის ნაწილების საზღვაო ქვეითი ჯარის მინიმუმ ერთი ბატალიონი.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „მაინიტი დეილი ნიუსში“, ამჟამად ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარი ოკინავაზე სწავლობს ანტიპარტიზანული ბრძოლის მეთოდებს. იმოწმებს რა „კარგად ინფორმირებულ წყაროებს, სააგენტო გადმოსცემს, რომ საზღვაო ქვეითი ჯარის მესამე დივიზია პირველად მრავალი წლის მანძილზე აწყობს ოკინავაზე პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის დიდ მანევრებს. საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები ვარჯიშობენ ვერტფრინავების გამოყენებით საზღვაო დესანტის გადაყვანის კომბინირებული ოპერაციის შესრულებაში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

გვინეამ ხმა მისცა სეკუ ტურეს

ლონდონი, 16 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში გვინეის მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა მთავრობის მეთაურს, გვინეის დემოკრატიული პარტიის გენერალურ მდივანს სეკუ ტურეს. მაგალითად, გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქ კონაკრიში სეკუ ტურეს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,7 პროცენტმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში. ხმის დათვლა გრძელდება.

მდგომარეობა ლაოსში

პანოი, 16 იანვარი. (საკდესი). მთავრობის ჯარები და პატეტ-ლაოს რაზმები კვლავ წარმატებით აწარმოებენ ოპერაციებს მეამბოხეთა წინააღმდეგ.

უკანასკნელ დროს დამარცხებათა შედეგად მეამბოხეთა ჯარისკაცების მორალური სულისკვეთება ძლიერ დაეცა. ჯარისკაცები უარს ამბობენ დაემორჩილონ ოფიცრების ბრძანებას და გადადიან მთავრობის ჯარების მხარეზე. როგორც მთავრობის რადიოსადგური „ლაოსის ხმა“ იუწყება, ამჟამად ინიციატივა სამხარ მოქმედებაში სავსებით კაპიტან კონგ ლესა და პატეტ-ლაოს ჯარების ხელშია.

პანიკა ვიენტიანში

პარიზი, 16 იანვარი. (საკდესი). ვიენტიანის პოლიციის მნიშვნელოვანი ნაწილი, აგრეთვე ადმინისტრაციულ დაწესებულებათა მუშაკები გადაყვანილია ვიენტიანიდან სავანაკეტში, იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს ვიენტიანელი კორესპონდენტი.

როგორც აქ მიაჩნიათ, ამით დაიწყეს იმ გეგმის განხორციელება, რომ ლაოსის ადმინისტრაციული დედაქალაქი გადაიტანონ სავანაკეტში, რომელიც მემარჯვენეთა ბასტიონია სამხრეთ ლაოსში, და არ დაიცვან ვიენტიანი იმ შემთხვევაში, თუ კაპიტან კონგ ლესა და პატეტ-ლაოს ჯარები დაიწყებენ შეტევას ვიენტიანის წინააღმდეგ.



კანიაში გადრაგით მიიყვანეს მანოლის გლეზოსი

ჯარისკაცთა აჯანყება მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ ჩაქრეს.

პარიზი, 16 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლის შტაბის უფროსი მენგეშა იასუ დღეს სტენლივილიდან გამგზავრა, სადაც იგი ჩასული იყო იმისათვის, რომ მოლაპარაკებდა კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ანტუან გიზენგასა და ეროვნული არმიის სარდალს ვიქტორ ლუნდულას. ეს მოლაპარაკება, როგორც ფიქრობენ, ეხებოდა ქალაქ მანონოს (როდეზიის ყოფილი კატანგა) რაიონში არსებულ მდგომარეობას, სადაც ამას წინათ აღდგენილ იქნა ლუმუმბა-გიზენგას მთავრობის კანონიერი ხელისუფლება.

მდგომარეობა კონგოში

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). პოლკოვნიკ მობუტუს არმიაში ძლიერდება მღელვარება, რაც გამოიწვია მისი იმ პოლიტიკით უკმაყოფილებამ, რომ დაუმორჩილოს კონგო კოლონიზატორთა ინტერესებს.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, რომ მობუტუს ჯარისკაცთა მღელვარება, რომელიც გასულ კვირაში დაიწყო ტისეილის სამხედრო ბანაკში, მოედო მობუტუს ძირითად სამხედრო ბანაკს ლეოპოლდვილის მახლობლად და ნჯილის აეროდრომს, აჯანყებულმა ჯარისკაცებმა ნჯილიში დააპატიმრეს თავიანთი ოფიცრები და სცემეს.

გადადგა კამბოჯის მთავრობა

ლონდონი, 16 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი პნომ-პენიდან იუწყება, დღეს კამბოჯის სახელმწიფოს მეთაური პრინცი ნოროდომ სიანუკი დაეთანხმა პრემიერ-მინისტრ ფხო პრენგის მთავრობის გადადგომას.

ბონი იარაღდება

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში დღითიდღე ძლიერდება გამალებული შეიარაღება. თუ გასულ წლებში იგი მეტწილად უცხოური წარმოების სამხედრო თვითმფრინავებს იღებდა, ახალი წლიდან დაიწყო მილიტარიზაციის ახალი ეტაპი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თხოვნით უშუალოდ დასავლეთ გერმანიის ავიამრეწველობის ქარხნებში დამზადდება უცხოური მარკის სამხედრო თვითმფრინავები.

შეხედავთ ამ სურათზე გამოსახულ თვითმფრინავებს შავი ჯვრებით, და უნებლიეთ გაგახსენდებათ განვლილი მსოფლიო ომი. ასეთი შავი ჯვრები „ამშვენებდა“ ჰიტლერულ „ლიუფტვაფეს“, ფაშისტური ვერმახტის სამხედრო ავიაციის თვითმფრინავებს, რომელიც გულითადად უსურვებს კონფერენციის მონაწილეებსა და აზიისა და აფრიკის ყველა ქალს ახალ დიდ წარმატებებს მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ქალთა საარსებო უფლებებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და აყვავებისათვის, დარბაზის ერთსულოვანი მქუხარე ოვაცია გამოიწვია.

სურათზე: F-104 ტიპის ახალი თვითმფრინავები, რომლებიც 1960 წლის ივლისში ჩავიდნენ ნიორვეგიის აეროდრომზე.

მანოლის გლეზოსს ახალი სასამართლო ემუქრება

ათენი, 16 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნეა“ კანიიდან (კრეტა) იუწყება, ამ დღეებში იქ ძლიერი ბადრაგით მიიყვანეს მანოლის გლეზოსი. კანიაში მზადდება ახალი გასამართლება დემოკრატიულ გაზეთ „ავგისა“, რომელსაც ბრალად ედება „ხელისუფალთა შეურაცხყოფა, რაც გამოიხატა იმით, რომ გაზეთმა ამბილა და დაგმო ასფალიის (პოლიტიკური პოლიციის) ორგანოების ტერორი კანიაში დემოკრატების წინააღმდეგ. გლეზოსი მიცემულია სამართალში როგორც „ავგის“ ყოფილი დირექტორი. მასთან ერთად სამართალში მიეცემა გაზეთის ახლანდელი დირექტორი ლ. კირკოსი.

როგორც ცნობილია, გლეზოსი მძიმედ ავადაა, და ამას წინათ საბერძნეთის საზოგადოებრივობამ მოითხოვა, რომ იგი გადაეყვანათ ათენის საავადმყოფოში. ხელისუფალნი უგულებელყოფენ საზოგადოებრივობის ნებას, ანგარიშს არ უწევენ გლეზოსის ავადმყოფობას და ცდილობენ ახალი გასამართლება მოუწყონ მამაც მებრძოლს ბერძენი ხალხის უფლებებისათვის.

XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატი

მეხუთე ტური

მოსკოვი. 17 იანვარი. (ტელეფონით). დღეს აქ რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიმართა სსრ კავშირის XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის მეხუთე ტური.

ამ დღის შეხვედრათა უმრავლესობა არ დამთავრებულა, შედეგიანი მხოლოდ 4 პარტია აღმოჩნდა. გროსმაისტერმა ტ. პეტროსიანმა დაამარცხა სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კორჩნოი, ა. ლუტიკოვმა — ა. ბანიკი, ა. ჩერეპკოვმა—გ. ბორისენკო. ვ. ტარასოვ-ვ. სმისლოვის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან გროსმაისტერები ვ. სმისლოვი და ტ. პეტროსიანი, რომლებსაც სამნახევარ-სამნახევარი ქულა აქვთ.

ა. კიკნაძე — საქართველოს ფალავანი

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში დამთავრდა საქართველოს აბსოლუტური პირველობის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში. ეს ჩემპიონატი გასულ ასპარეზობებისაგან გამოირჩეოდა შემადგენლობათა სიძლიერით, ბრძოლის შეუპოვრობით.

დასაწყისში მეტოქეები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ქვეჯგუფებში. აქ გამარჯვებულებისაგან შეიქმნა ფინალური ჯგუფი 6 კაცის შემადგენლობით. მათ შორის იყვნენ საქართველოს 1959 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ა. კიკნაძე, 1958 წლის ფალავანი ა. ვარდოშვილი, დ. ბერუაშვილი და სხვ.

ფინალურ შეხვედრებში მონაწილეთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა და საქართველოს აბსოლუტური ფალავნის წოდება მოიპოვა ა. კიკნაძემ (თბილისი). რომელსაც საზეიმოდ გადაეცა საქართველოს გოლიათის — ს. კანდელაკის სახელობის ჯილდო. მეორე ადგილზე გამოვიდა დ. ბერუაშვილი (გორი), მესამეზე — ა. ვარდოშვილი (ყასპი).

ქართული ჭიდაობის საუკეთესო ტექნიკისათვის პრიზი მიიღო ბ. ბალაკამვილმა (გორი).

... ინფორმაციის ხელოვნება

არენაზეა ახალგაზრდობა

ახალი პროგრამა

ვინც საცირკო ხელოვნებას იცნობს და უნახავს იგი, დამეთანხმება, რომ არენაზე ჟონგლიორების მუშაობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ამიტომ გადავწყვიტე ამ „შტამპს“ ბრძოლა გამოვუცხადო. უწინარეს ყოვლისა მინდა ჩემს ნომერს სიუჟეტი მივცე, რაც ცეცხლოვან შესრულებასთან ერთად მაყურებლისათვის საინტერესო და არამოსაწყენი გახდება.

მაგალითად, ავიღოთ ნომერი, „სათამაშოების მაღაზიაში“, სათამაშოებით მორთულ ვიტრინაში მე ვიქნები როგორც შანეკენი. საათი დაჰკრავს თორმეტს, მე „ვიღვიძებ“ და წარმოდგენაც დაიწყება...

ასეთია მომავლის შემოქმედებითი გეგმები მოსკოვის სახელმწიფო საცირკო სტუდიადამთავრებული, ცირკის ახალგაზრდა მსახიობის, მაია რუბცოვასი, იგი სხვა მსახიობებთან ერთად წარმატებით გამოდის თბილისის სახელმწიფო ცირკის სპექტაკლებში, რომლებიც განახლებული პროგრამით მიმდინარეობს. ერთი წელია, რაც მაია არენაზე გამოდის. შეუხედავად ამისა, მისი ნომერი მსახიობის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს. სისწრაფე, პლასტიკურობა, სისადავე — აი ის, რითაც იხიბლება მაყურებელი. მაგრამ რუბცოვა გამონაკლისი როდია. ფილილელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო აგრეთვე ახალგაზრდა ოსტატების — კოსტიუკოვებისა და ასმუსის (ბერში), დებიუტანტის ვ. ლუნე გოს ვარჯიშები მოქანავე სეტზე, აკრობატ-ვოლტიერორების და საჰაერო გიმნასტების ზაპაშნების ნომრები.

ახალგაზრდობასთან ერთად წარმატებით გამოდიან და პროგრამის ძირითად ნომრებს წარმოადგენენ რსფსრ სახალხო არტისტისა და დაღესტნის ასსრ სახალხო არტისტის რ. აბაკაროვის ხელმძღვანელობით („ცოვკრა“) ბაგირზე მოსაარულეთა ჯგუფის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიოს ექსჩემპიონის, ძალოსანის გ. ნოვაკისა და სხვათა გამოსვლები.

პაუზებში ახალი ინტერმედიები და რეპრიზები აქვს სიცილის ოსტატს, მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ცირკის რსფსრ დამსახურებულ არტისტს, ხუმარა კ. ბერმანს.

ო. არაგელიძე.

სურათზე: და-ძმების ზაპაშნების გამოსვლა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხელოვნების ამბები

„ქუთათურები“

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა სეზონის მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ლ. სანიკიძის კომედია „ქუთათურები“.

სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა თ. მესხმა. მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს დ. თავაძეს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძეს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი იპ. ხვიჩია, დამსახურებული არტისტები შ. პირველი, ქ. კოლხიდელი, გ. ნაცვლიშვილი, ალ. ჩიქვინიძე, ვ. მეგრელიშვილი, მსახიობები ე. სვანიძე, ნ. წიკლაური, ი. ბალიაშვილი, ც. ბერიძე, ა. მოწონელიძე, თ. სისაური და სხვები.

„თხუნელა“

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ო. ჩიჯავაძის „თხუნელა“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბჟანდაძემ.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გრ. ტყაბლაძე, მსახიობები დ. ჯაფარიძე, ნ. ერისთავი, მ. კუსიანი, ნ. ჩაჩანიძე, აკ. ბაკრაძე და სხვები.



სარეტრანსლაციო სადგური მთაზე

თელავი. (საკ. კორ.). ღამღამობით მთა „ციგზე“, რომელიც ზღვის დონიდან ათას ცხრასაა მეტრი სიმაღლისაა, ცამ ატყორცნილი გაჩირაღდნებული ანძა მოჩანს. აქ ტელევიზიის სარეტრანსლაციო სადგურია. მისი დამონტაჟება ახლახან დამთავრდა. თელავის, ყვარლისა და ახმეტის რაიონების მშრომელები ყოველდღიურად იღებენ ტელეგადაცემებს თბილისიდან.

ალაზნის ველის სოფლებში ტელევიზორები მრავლდება. მარტო თელავის რაიონში უკვე ხუთასზე მეტ კოლმეურნეს აქვს ტელევიზორი.

ქალიშვილი არ დაიბნა

სადამოს 11 საათზე სოფელი ახალშენი (ოხოტაურის რაიონი) ქალის საზარელმა კივილმა შესძრა. ოდა-სახლს ცეცხლი გასჩენოდა და ქალი შველას ითხოვდა. მშველელთაგან ყველას მიესწრო უახლოესმა მეზობელმა ქალიშვილმა სულიკო ხუნდაძემ, იგი არ დაიბნა, წყლიანი ვედროებით პირველი ეკვეთა უკვე გალაღებული ცეცხლის ენებს. ცეცხლმა ძალა დაკარგა. მშველელებმა შემდეგ ცეცხლი მთლიანად ჩააქრეს და ოჯახი დაწვას გადაარჩინეს.

კ. ბურჭულაძე.

კომუნისტი

რესპუბლიკური ჩემპიონატის წინ

როგორც ვიუწყებოდით, დამთავრდა თბილისის 1961 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ვაჟთა შორის. ამ ასპარეზობამ გამოავლინა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ჩემპიონი, არამედ მომდევნო შვიდ ადგილზე გამოსული მოჭადრაკეები, რომლებიც რესპუბლიკური საუბილეო პირველობის გათამაშების დებიტლებით დაშვებულ იქნებიან ფინალურ შეჯიბრებაში.

კიდევ ვინ მიიღებს მონაწილეობას რესპუბლიკურ ჩემპიონატში?

სტალინრისა და გურჯაანში მიმდინარეობს საქართველოს პირველობის გათამაშების ნახევარფინალური ასპარეზობები, სადაც გამოდიან ოსტატობის კანდიდატები, პირველლიგინელები. აქ გამარჯვებულები (სამ-სამი) გამოვლენ ფინალში. გარდა ამ მოჭადრაკეებისა, დასკვნის ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ ოსტატები ბ. გურგენიძე, მ. შიშოვი, ა. ბუსლაევი, ა. ბლაგიძე.

იმისათვის, რომ რესპუბლიკური საუბილეო ჩემპიონატი უფრო საინტერესო იყოს, ამასთანავე ჩვენს ახალგაზრდობას საშუალება ჰქონდეს ამაღლოს საჭადრაკო კვალიფიკაცია, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ გადაწყვიტა მოწვიოს იქნას უძლიერესი გროსმაისტერები და საერთაშორისო ოსტატები, რომლებიც შეჯიბრებაში გამოვლენ კონკურსგარეშე.

როგორც ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, სსრ კავშირის XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი ვ. გოგლიძე გვაცნობებს — საქართველოს პირველობის გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს გროსმაისტერებმა დ. ბრონშტეინმა და ო. ხოლმოვმა, აგრეთვე მოსკოვის ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ე. ვასიუკოვმა.

რუმინელი ხელგურთელები — ნახევარფინალში

ბუქარესტში გაიმართა მსოფლიო პირველობის გათამაშების მორიგი ძატჩი ხელბურთში სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი შეხვედრა მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა ხელბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 12:9. ნახევარფინალში გასვლის საკითხი უნდა გადაეჭრა ბუქარესტის მატჩს. რუმინელებმა ეს პასუხსაგები ასპარეზობა მაღალი ოსტატობით ჩაატარეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 18:13 და ნახევარფინალში გავიდნენ.

ჩვენი კალათბურთელების გამარჯვება

ბერლინი, 16 იანვარი. (საკდესი). ქალაქ ჰალეში ევროპის თასის გათამაშებაში სალათბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ ტარტუს (სსრ კავშირი) უნივერსიტეტისა და სპორტული კლუბის „ქიმიის“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ქალთა გუნდები. საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 71:49 (34:18).

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

შავგნელი პერსპექტივები

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი **ესტერ სილდე** იუწყება:

მილიონობით ამერიკელისათვის მოხუცებულობას მოაქვს შავგნელი პერსპექტივები — სიღატაკე, სხვადასხვა ავადმყოფობა, უპატრონოდ მიტოვება. ეს ფაქტი სავსებით ნათლად გამოვლინდა თეთრ სახლთან გამართულ პირველ კონფერენციაზე ღრმამოხუცებულთა მდგომარეობის საკითხის შესახებ. კონფერენცია ამ კვირაში მიმდინარეობდა ვაშინგტონში. რამდენიმე პროფკავშირის დელეგატები, ექიმები, კომერციულ სადაზღვეო კომპანიათა აგენტები, მთავრობის მოხელეები, სოციალური უზრუნველყოფის მუშაკები და იმ ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელნი, რომლებიც ღრმამოხუცებულებს აერთიანებენ, განიხილავდნენ პრობლემებს, რომლებსაც მოსახლეობის ეს ჯგუფი ხვდება შეერთებულ შტატებში.

დისკუსიის მთავარი თემა იყო სამედიცინო დახმარების საკითხი. კონფერენციის არც ერთ დელეგატს არ გაკვირვებია, როცა გაიგონეს, რომ 65 წელს ან მეტ ასაკს მიღწეული 16 მილიონი კაციდან 12 მილიონი დაავადებულია სხვადასხვა ქრონიკული ავადმყოფობით. 65 წლისაზე მეტი ხნის ადამიანთა ნახევარზე მეტს წელიწადში ათას დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, რაც არ არის საკმარისი საჭირო სურსათისა და ტანსაცმლის შესაძენად და ბინის ქირის გადასახდელად, რომ აღარაფერი ვთქვათ სამედიცინო დახმარებაზე.

ბევრ ადამიანს — 45 წლის და უფრო მეტი ხნის ასაკში (ე. ი. ასეულ ათასობით მუშას) სამუშაოზე უარს ეუბნებიან მხოლოდ მათი ასაკის გამო. ეს კონფერენციაზე განაცხადა ფედერალურმა საბჭომ ღრმა მოხუცებულთა საკითხების შესახებ.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ იუწყება, კონფერენციაზე გამოსული ერთ-ერთი დელეგატი ჩიოდა, რომ „ბევრ რაიონში სიცოცხლე წყდება 40-50 წელზე უფრო ხნიერი ადამიანებისთვისო. ამ ასაკში შეიძლება უკვე უარი უთხრან ადამიანს სამუშაოზე“.

პრესის ერთსულოვანი აზრით, კონფერენციაზე გაიმარჯვეს იმის მომხრეებმა, რომ ღრმამოხუცებულებს სამედიცინო დახმარება გაუწიოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემამ.

ამერიკის სამედიცინო ასოციაციის რეაქციულმა ელემენტებმა კონფერენციაზე სცადეს თავს მოეხვიათ დამსწრეთათვის აზრი, რომ საჭიროა სამედიცინო დახმარება გაუწიოს ავადმყოფობის შემთხვევის გამო კომერციული დაზღვევის სისტემამ. მათ იწინასწარმეტყველეს, რომ კონგრესი იმის წინააღმდეგი იქნება, რომ სამედიცინო დახმარების საჭიროებისთვის შემწეობა გასცეს სოციალური დაზღვევის სისტემამ, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი შტატი იზიარებს ფედერალური მთავრობის აზრს იმის შესახებ, რომ ღრმამოხუცებული მოქალაქეები, რომელთაც სამედიცინო დახმარება ესაჭიროებათ, უზრუნველყოფილი იქნენ ავადმყოფობის გამო ნებაყოფლობითი დაზღვევის სისტემის მეშვეობით იმ კანონის შესაბამისად, რომელიც კონგრესმა გასულ წელს მოიწონა.

კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს წინადადება მოხუცებულობის დახმარების გადიდების შესახებ, რამდენადაც ინფლაციამ შეამცირა მეიდველობითი უნარი.

საგაზეთო ტრესტის სკრიპს-ჰოვარდის მომომხილველი ბაზს ჩესვამს, რომ კონფერენციას არ დასწრებიან თვითონ ღრმა მოხუცებულნი, თუმცა მათ შეეძლოთ ფრიად სასარგებლო ინფორმაცია წარედგინათ. ერთ-ერთმა დელეგატმა ჯონ ტომაკიმ (ფილადელფია) მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ბენსიისა და დაზღვევის განყოფილების ხელმძღვანელი) განაცხადა, რომ „კონფერენციის ბევრ მონაწილეს, ცხადია, ბოლომდე არ შეუგნია, რომ ჩვენ განვიხილავთ მოსახლეობის ისეთი ჯგუფის მდგომარეობას, რომელიც სიღატაკეში ცხოვრობს“.

მეორე დელეგატმა ჯერომ კეპლანმა (მანსფილდი, ოჰაიოს შტატი) განაცხადა, ღრმამოხუცებულნი მთავრობისაგან სიტყვებს კი არ მოელიან, არამედ საქმესო.

19 და 20 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, დასავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 2-7 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო.

ამინდი

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, დასავლეთ რაიონებში დროგამოშვებით ნალექი, დასავლეთის სუსტი ზომიერამდე, მტკვრის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 2-7 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 7-12 გრადუსი ყინვა, დღისით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო.

ქანადის დედაქალაქში გაიმართა ოტავის, ტორონტოს, მონრეალის, კვებეკისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტების სტუდენტთა დემონსტრაცია ატომური განიარაღებისათვის. პარლამენტის შენობასთან მოეწყო მიტინგი.

ფოტო ა. ეიგულევისა.
(საკდესი).

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, გა[illegible]ების მიღების — 3-64-42.

სკკ საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

უე 00903